კვირეული „ვერსია“

ვერსია

№30 (1620) 3 — 9 აგვისტო ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ყველაფერი, რაც IQOS-ის შესახებ უნდა იცოდეთ

რა მარკეტინგული ხრიკი აქვს „ფილიპ მორისს“

მიშას ეპოქა სრულდება?!

რა იციან ენმ-ში მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე

ვრცელდება თუ არა სწრაფად და რა უნდა ვიცოდეთ „ომიკრონის“ ახალ შტამზე

ლადო კახაძე: „ისეთი ჭკვიანი მოსახლეობა გვყავს, აქეთ მასწავლიან, როგორ მოვიქცეთ“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„პონტის“ გამო მოკლული ბიჭები

როგორ იყენებენ უცხოეთში მყოფი „კანონიერი ქურდები“ საქართველოში ახალგაზრდებს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადება

პირველ რიგში, კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, 29 ივლისს, გუდაურთან მომხდარი ტრაგედიის გამო და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, კოლეგებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

გვსურს, გამოვეხმაუროთ ზოგიერთ მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში გაჟღერებულ არასწორ ფაქტებს.

სამწუხაროა, რომ ტრაგედიის ფონზე გვიწევს ამ განცხადების გამოქვეყნება, მაგრამ უმჯობესია, ფართო საზოგადოებამ იცოდეს გადამოწმებული და ზუსტი ფაქტები.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბორტზე მყოფი მფრინავები და ბორტ-ტექნიკოსები: პოლკოვნიკი ზაზა ლორია, ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ჩოხელი, მაიორი დიმიტრი ქააძე და ლეიტენანტი ანდრო ქუჯოშვილი თავისი საქმის მაღალი დონის პროფესიონალები იყვნენ. ბორტს მართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, პოლკოვნიკი ზაზა ლორია, რომელიც 1992 წლიდან, გახლდათ მფრინავი და წლების განმავლობაში, მეთაურობდა შვეულმფრენების ესკადრილიას.

პოლკოვნიკი ზაზა ლორიას ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში, განხორციელებულა ბევრი რთული სამაშველო ოპერაცია და მას უამრავი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი.

აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს ბაზაზე, ვერტმფრენის ყოველი აფრენის დროს, დეტალურად ხდება ვერტმფრენის შემოწმება და დაუშვებელია, რომ ტექნიკურად გაუმართავი ვერტმფრენი პილოტებმა დაძრან და მართონ.

აღსანიშნავია, რომ 2019-2022 წლებში, სასაზღვრო პოლიციის ავიაპარკი სრულად განახლდა, რაც გულისხმობს, რომ ყველა ვერტმფრენი რეგლამენტირებული, გამართული და განახლებულია.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მარტში, სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს კანონმდებლობის წესების სრული დაცვით, მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საავიაციო უსაფრთხოების საერთაშორისო წესებისა და საავიაციო ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს შესაბამისად, შეიძინა შვეულმფრენების 2 კუდა ხრახნის კომპლექტი სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული 2 „მი-8“ მტვ-1 ტიპის ვერტმფრენისთვის.

ორივე ვერტმფრენზე ძველი კუდა-ხრახნები ჩანაცვლდა ახლებით, საავიაციო უსაფრთხოების საერთაშორისო წესების საფუძველზე და ამ წესების სრული დაცვით.

გვსურს, ასევე, განმარტება გავაკეთოთ სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე არსებულ 2 „სუპერ პუმასთან“ დაკავშირებით, რომელიც 2011 წელს, შესყიდული იყო სამაშველო ფუნქციებისთვის საჭირო აღჭურვილობის გარეშე. სწორედ ამიტომ, „სუპერ პუმას“ გამოყენება ვერ ხდება სამძებრო-სამაშველო ოპერაციებში (ხალხის ამოსაყვანად და ვერც ხანძრების ჩასაქრობად). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ერთ-ერთი „სუპერ პუმა“, რომელიც სპეციალური შეკვეთით, მაღალი კლასის სალონითა და დიზაინითაა დამზადებული და რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მაღალი რანგის პირების გადაადგილების მიზნით გამოიყენებოდა.

ვერტმფრენი „მი-8“ გამოიყენება ძებნა-გადარჩენისა და სამაშველო ოპერაციებში. აღნიშნულ შვეულმფრენს აქვს სპეციალური სამაშველო დანიშნულების აღჭურვილობა.

ასევე, მედიაში გაჟღერებული ფაქტი, რომ „სუპერ პუმა“ კახეთის რეგიონშია ჩარჩენილი, არ შეესაბამება სინამდვილეს. „სუპერ პუმა“ ამოყვანილია ლაგოდეხის დასაცავი მონაკვეთიდან და დასაწყობებულია ავიაციის სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველო ბაზაზე.

ერთმნიშვნელოვნად გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციაში მუშაობენ საუკეთესო, მაღალი დონის პროფესიონალი მფრინავები და ბორტ-ტექნიკოსები, რომლებიც წელიწადში ორჯერ გადიან სპეციალურ გადამზადებას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გუდაურის ტრაგედიასთან დაკავშირებით, მყისიერად დაიწყო გამოძიება საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევის ფაქტზე, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 275–ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ცხვარიჭამიაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცხვარიჭამიაში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 2000 წელს დაბადებული დ.ჯ. დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 28 ივლისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაზიანება მიაყენა 2002 წელს დაბადებულ მ.კ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მ.კ. მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ამასთან, ცხვარიჭამიაში მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციამ ხულიგნობის, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, 7 პირი დააკავა

განზრახ მკვლელობის, ხულიგნობის, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 239-ე, 370-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავები და მაშველები სამხედრო პატივით დაიკრძალნენ

გუდაურთან, 29 ივლისს ტრაგიკულად დაღუპული შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მფრინავები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, თბილისსა და ბოლნისში მდებარე სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაიკრძალნენ. საპატიო ყარაულმა გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, მათ ოჯახებს კი საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

დაკრძალვის ცერემონიამდე თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა – ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, სამოქალაქო პანაშვიდზე პატივი მიაგო დაღუპული მფრინავების, მაშველების, ექიმების ხსოვნას და მათ ოჯახებს, თანამშრომლებს, ასევე, ახლობლებს სამძიმარი პირადად გამოუცხადა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად სამების საკათედრო ტაძარში მივიდნენ პრეზიდენტი – სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მოქალაქეები და დაღუპულთა თანამშრომლები.

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, 29 ივლისს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოვდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახები, მატერიალური დახმარების სახით, 100 ათას ლარს მიიღებენ.

გუდაურთან სამაშველო ოპერაციისას დაღუპულები, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ასევე დაჯილდოვდნენ მედლით – „სამოქალაქო თავდადებისათვის“.

მიშას ეპოქა სრულდება?!

ნინო დოლიძე

ხმა, რომ მიხეილ სააკაშვილს ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს, კულუარებში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა და ამის შესახებ, თავის დროზე, „ვერსიამაც“ დაწერა, თუმცა მაშინ ეს მოარული ცნობა არავინ დაადასტურა. ახლა კი პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის ადვოკატები უკვე ღიად ამბობენ, რომ დიახ, მიშა ქართული პოლიტიკით აღარ არის დაინტესრებული. ისე, საინტერესოა, თუ ქართული პოლიტიკა არ აინტერესებდა, მაშინ, რამდენიმე თვის წინ, საქართველოში, როგორც იტყვიან, კონტრაბანდულად რატომ დაბრუნდა? – ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, თუმცა „ვერსიის“ ძველ სტატიას თუ გავიხსენებთ, მივხდებით, რომ სააკაშვილს ზემოხსენებული გადაწყვეტილება თავად არ მიუღია ანუ როგორც თავის დროზე, ჩვენმა კონფიდენციალურმა წყაროებმა გვითხრეს, დასავლეთმა და, მათ შორის, ამერიკის შეერთებლმა შტატებმაც სააკაშვილს შეუთვალეს, ციხიდან დაგიხსნით და მესამე ქვეყანაში სამკურნალოდ გაგიყვანთ, თუ მხოლოდ ქართული კი არა, უკრაინული პოლიტიკიდანაც წახვალო. წყაროს თქმით, სააკაშვილმა მაშინ ეს შეთავაზება არ მიიღო. დღეს კი მისი პოზიცია, როგორც ირკვევა, შეცვლილია.

„მამაჩემი არ არის მომავლის ლიდერი“ – ედუარდ სააკაშვილის სკანდალური განცხადება

სხვათა შორის, მიშას პოლიტიკიდან წასვლა, არაპირდაპირ, მისმა უფროსმა ვაჟმაც დაადასტურა. უფრო მეტიც, სააკაშვილის ვაჟმა თქვა, რომ მიშა საქართველოში არ უნდა ჩამოსულიყო.

„ჩემი აზრით, საჭიროა, მისი ჯანმრთელობის საკითხი იყოს ნაკლებად პოლიტიკური, რომ რაღაც კონსენსუსი შეიქმნას საზოგადოებაში, რომ ის იმსახურებს ღირსეულ ჯანდაცვას და მკურნალობას და წვდომა ჰქონდეს ამაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია დეპოლიტიზირდეს მისი საკითხი, ამისთვის შეიძლება საჭიროა, მისი როლი პოლიტიკაში საერთოდ გადაიხედოს.

მე ერთი კვირაა, რაც საქართველოში ვარ, ჩემი ოჯახის, მამაჩემის სანახავად. ვიმოგზაურეთ ერთად მე და დედაჩემმა ზუგდიდში, ბათუმში, მეგობრებთან, მაგრამ ხალხი გვხვდება, თუ მცნობენ, მეკითხებიან, მიშა როგორ არის, არის ფართო დაინტერესება მამაჩემის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მაგრამ ადამიანების ტონში ვამჩნევ, რომ მამაჩემი არ არის მომავლის ლიდერი. მასზე არ მეკითხებიან, მიშა გამოვიდეს და გადაგვარჩენს და ა.შ. არის ბევრი, რომლებიც ასე უყურებენ, მაგრამ არის შეიძლება უფრო დიდი ნაწილი, რომლებიც აფასებენ მის როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში, უნდათ მისთვის კარგი, ნერვიულობენ მასზე, როგორც ადამიანზე. ხშირად ისინი ამომრჩევლებიც კი არ არიან მიშასი და ნაციონალური მოძრაობის. ამიტომ, მე მგონია, ეს სენტიმენტი საზოგადოებაში არის ფართოდ გავრცელებული. თუ ვსაუბრობთ ამ საკითხის დეპოლიტიზირებაზე, მამაჩემიც უნდა დეპოლიტიზირდეს ცოტა. მე როგორც ვხედავ, მისი როლი ქართულ პოლიტიკაში გაუგებარია მომავლისთვის, არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, რომ ის მთავრობაში დაბრუნდეს. ცოტა რთული წარმოსადგენია ჩემთვის. როცა შევდივარ მამაჩემთან, ის უყურებს უკრაინულ ტელევიზიებს მხოლოდ, მე მგონი, თვითონაც ხვდება ამას, შეიძლება, იქით უფრო ჰქონდეს მომავალი, ვიდრე აქ, მის პოლიტიკურ აქტიურობას.

დღეს მისგან პოლიტიკურად არც ისმის ბევრი, არც ბევრს წერს პოლიტიკაზე და აღარც ერევა დიდად. ჩამოსვლამდე წერდა, რომ მე ჩამოვალ, შევცვლით ხელისუფლებას, დაიწყება ახალი აღმშენებლობა და ა.შ., მაგრამ რეალურად, ეს თეორია არ გამოდგა მართალი. ის ჩამოვიდა და მივიღეთ ის კატასტროფული მდგომარეობა, რაც მივიღეთ და ეს იყო დიდი შეცდომა.

მე არ ვამბობ, რომ გარიგება უნდა შედგეს, კულისებში ხელის ჩამორთმევებზე არ მაქვს საუბარი, თუ კომპრომისებზეა საუბარი, შეიძლება, ორმხრივი იყოს, ისიც აშკარა გახდეს, რომ მამაჩემი ქართულ პოლიტიკაში თავის თავს ვეღარ ხედავს მომავალში და მეორე მხრიდან წამოვიდეს შეიძლება სურვილი, პოლიტიკური პროცესის ნორმალიზება მოხდეს. მე მხოლოდ მივესალმები ამას. მე ვცდილობ, რეალისტურად შევხედო მამაჩემის რთულ მდგომარეობას. მე ვფიქრობ, შეიძლება შეიქმნას კონსენსუსი საზოგადოებაში, ძალიან ფართო, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა საქართველოს უახლეს ისტორიაში და აწმყოშიც იმიტომ, რომ მას აქვს ძალიან დიდი გავლენა იმაზე, როგორი საქართველოც დღეს არის. ამ კონსენსუსში ხალხმა თქვა, რომ დავაფასოთ მისი ღვაწლი, ცუდი, კარგი და შევუქმნათ მას ღირსეული ჯანმრთელობის მდგომარეობის უფლება. თუ შეიქმნება ასეთი კონსენსუსი, ხელისუფლებისთვისაც უფრო ადვილი გახდება წამოვიდნენ დათმობაზე ამ საკითხებზე, კონკრეტულად საუბარია, ჰუმანური მოპყრობის საკითხზე, სასჯელის გადავადება და ა.შ. რაც ლეგალურად დაშვებულია და ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნიადაგი, რომ ეს მართლა მოხდეს. საერთაშორისო დონეზეც ასე უყურებენ, მე და გიული შეხვედრებს ვმართავდით, იქაც მგონია, რომ თუ ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მხოლოდ ჰუმანიტარულ მხარეზე, ბევრად დიდი კონსენსუსი არსებობს ევროპაშიც ამაზე, ვიდრე თუ ჩვენ დავიწყებთ, რომ სააკაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი, იქ უფრო იყოფა აზრები. თუ მოვახერხებთ საქართველოშიც შეიქმნას მსგავსი კონსენსუსი, მამაჩემსაც შეუძლია ამაში წვლილის შეტანა, თუ მოახდენს დეკლარირებას, მაგრამ ეს უნდა იყოს სარწმუნო და არა ტრიუკი“, – განაცხადა ედუარდ სააკაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში.

სიმართლე რომ ვთქვათ, აქამდე, მიშა ყოველთვის მომავლის ლიდერად მიიჩნეოდა. ახლა კი, საკუთარმა შვილმა თქვა, რომ მამამისი მომავლის ლიდერი არ არის. ესე იგი, გამოდის, რომ მიშას პოლიტიკიდან წასვლა რეალურად აქვს გადაწყვეტილი, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტისტორიაში ახალი ერის დასაწყისი იქნება, რადგან 90-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული, სააკაშვილი ქართული პოლიტიკის მოტორად მიიჩნეოდა. ყოველ შემთხვევაში, მოახერხა, რომ ხალხს გამუდმებით მასზე ელაპარაკა და ამასთან, პოლიტიკოსის განსხვავებული სახე შეექმნა.

ერთი სიტყვით, მალე გახდება ცნობილი, მიშას ეპოქა სრულდება თუ არა და თუ დასრულდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ენმ-ს ეპოქაც დასრულდება, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ მიშას გარეშე, ეს პარტია არაფერია!

ასხამს თუ არა წყალს ხელისუფლების წისქვილზე – გიორგი ვაშაძის პასუხები ბრალდებებზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, საქართველოში, 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად, ხელისუფლება და ოპოზიცია ცალკ-ცალკე მუშაობს. მმართველი ძალის მიერ წამოწყებულ პროცესში საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი არ ჩაერთო და 12-პუნქტიანი გეგმის შემუშავებაზე სამოქალაქო სექტორთან ერთად მუშაობა დამოუკიდებლად დაიწყო. ოპოზიციის ამ პროექტს სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი, გიორგი ვაშაძე ხელმძღვანელობს, რომელთან ინტერვიუსაც „ვერსია“ გთავაზობთ:

„მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა არ იქნება მარტივი საკითხი“

– პირველი ამოცანა საკანონმდებლო აქტების დაწერა და იმის განსაზღვრაა, რა მოლოდინი აქვთ ჩვენგან ევროპელებს და რისი გაკეთება შეგვიძლია. შესაბამისად, სამოუშაო პროცესის პირველი ფაზა დავასრულეთ და სამოქალაქო სექტორთან გავცვალეთ მოსაზრებები.

მეორე ეტაპზე, ოპოზიციაში მიმართულების მიხედვით გვყავს გამოყოფილი ადამიანები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ. დავწერთ კანონპროექტებს, რომ შევაჯეროთ საპარლამენტო ოპოზიციის მიდგომა ისევე, როგორც სამოქალაქო სექტორმა წარმოგვიდგინა პოზიცია ამ საკითხებზე. ჩვენსა და სამოქალაქო სექტორის ხედვებს შორის განსხვავება ფუნდამენტური არაა, სხვაობა, შეიძლება, მხოლოდ მიდგომებში იყოს.

– ამ საკითხებზე რომელი საპარლამენტო პარტიები მუშაობთ?

– ეს პროექტი აბსოლუტურად ყველა პარტიასთან ერთად დავიწყეთ და შემიძლია, ვთქვა, ვინ არ იყო შეხვედრებზე – ეს არის ელისაშვილის პარტია და „გირჩები“. მოვიდნენ პირველ შეხვედრაზე, თუმცა მას შემდეგ აღარ მოსულან.

– „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი, იაგო ხვიჩია მწვავედ გაკრიტიკებთ. ყველას მოუწოდებს, მარტო დაგტოვონ ამ პროცესში, რადგან მისი თქმით, შესაძლოა, ხელისუფლების საქმეს აკეთებდეთ... რას უპასუხებთ?

– ყველა ოპოზიციურმა პარტიამ უპასუხა, რომ არავინ გამიჯვნია ჩვენს წამოწყებას. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ხელისუფლების საქმის კეთება ოპოზიციის ოპოზიციონერობაა. უმეტესად, შეიძლება, საერთოდ არ ვეთანხმებოდე მის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არასდროს ვაკრიტიკებ, რადგან პირველი პრინციპი ისაა, რომ ოპოზიცია ოპოზიციის მხარეს უნდა იყოს.

ამ ქვეყნის პირველი მტერი „ქართული ოცნებაა“ და ნებისმიერი აყალ-მაყალი და უერთიერთთავდასხმები ოპოზიციაში ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, თავად განსაჯოს საზოგადოებამ, ვინ ვის საქმეს აკეთებს.

– ცოტა ხნის წინ, მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთეთ და თქვით, რომ თქვენს პარტიაში ხელისუფლება ე.წ. ინფორმატორებს ნერგავს. რას გულისხმობდით და რა ინფორმაცია გაქვთ ამ საკითხზე?

– „ტვ პირველზე“, ნოდარ მელაძის გადაცემაში იყო საუბარი აშშ-ის ელჩის უკანონო მოსმენასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ჩემს პირად თვალთვალზეცაა საუბარი, ორი კომპინენტისგან შედგება და მეორე საკითხია ის, რომ ჩვენი პარტიის ახალგაზრდულ ფლანგში ვიღაც ჰყავდათ, რომელმაც გადაუგზავნა „სქრინი“. ვფიქრობ, სუფთა „კაგებეშნიკური“ მეთოდია, როცა ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს „აფუჭებენ“ და ასეთ დასმენით საქმიანობაში მიჰყავთ.

ამასთან, როგორც ჩანს, პირველ საფრთხედ აშშ-ის ელჩს აღიქვამენ და ასევე, ჩემი შეხვედრებიც აშშ-ის ელჩთან მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს არის დამადასტურებელი ფაქტი იმ დანაშაულებრივი სისტემისა, რაც ქვეყანაშია.

– ბატონო გიორგი, მოდი, დავუბრუნდეთ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას... ევროპის მიერ მოთხოვნილი პუნქტებში პირველივე დეპოლარიზაციის დასრულებას გულისხმობს და თქვენი გადაწყვეტილება, რომ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად დაგეწყოთ ამ გეგმაზე მუშაობა, შესაძლოა, ვინმემ ისე აღიქვას, რომ თავად არ ასრულებთ ჩვენი პარტნიორების პირველსავე მოთხოვნას. ამიხსენით, რატომ განაცხადეთ მკაცრი უარი ხელისუფლებასთან ერთად ამ გეგმის შემუშავებაზე?

– თათია, აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ იმ ადამიანებს პროცესების თანმიმდევრული დანახვის პრობლემა აქვთ, ვინც „ქართულ ოცნებას“ ეთანხმება, თუმცა მგონია, რომ ასეთები ცოტანი არიან. თანამშრომლობაზე უარი განაცხადა „ქართულმა ოცნებამ“... დღესაც, ფაქტობრივად, მოწვეულად ითვლება რიგგარეშე საპარლამენტო სესია და კონსტიტუციის, პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით, ამ სხდომაზე არ მივიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და არც გახსნეს ეს სხდომა. შესაბამისად, ოპოზიციამ საერთო ფორმატში, 47 ხელმოწერით, შესთავაზა „ქართულ ოცნებას“ სამუშაო ფორმატი, რომელიც მისაღებია ყველასთვის, რაც გულისხმობს კომიტეტებსა და სესიებზე განხილვას. ამაზე უარი განაცხადეს და წინაპირობები დააყენეს, რომ დეოლიგარქიზაცია ბიძინა ივანიშვილს არ ეხება; დეპოლარიზაცია ოპოზიციის გაჩუმებაა; სასამართლოში კლანი არ გვყავს და ქვეყანაში კორუფცია არ არის – ამ წინაპირობების გათვალისწინებით, მოდით და ვისაუბროთ არაფორმალურ გარემოშიო.

ჰოდა, აბსოლუტურად ადეკვატურია, რომ ჩვენ არაფორმალურ გარემოში არ ვაპირებთ „ქართულ ოცნებასთან“ საუბარს, რადგან არაფერი მაქვს არაფორმალურად სალაპარაკო. არის კონკრეტული 12 პუნქტი, რომელსაც სჭირდება კონკრეტული რეფორმები და შესაბამისად, ჩვენ ავირჩიეთ ეს გზა, რადგან ვიღაცამ ხომ უნდა დაწეროს ეს კანონები? – „ქართული ოცნება“ არაფერს დაწერს ისეთს, რომელიც კანდიდატის სტატუსს მოგვიტანს – ეს ყველამ იცის. ყველა, ვინც შევიდა კომისიაში, ისინიც ამბობენ, ვიცით, რომ არაფერს გააკეთებს ხელისუფლებაო... ასე რომ, პოლიტიკურმა ძალამ – „ქართულმა ოცნებამ“ გამოუცხადა ბოიკოტი საპარლამენტო სესიებს და არა – ჩვენ.

– ევროპარლამენტარებს ხშირად ხვდებით და საინტერესოა, თუ გაქვთ მათთან საუბარი იმაზე, თუ სად გადის ზღვარი პოლიტიკურ დეპოლარიზებასა და სწორ ოპონირებას შორის, როდესაც ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ თანხმდება გარკვეულ საკითხებზე?

– ვფიქრობ, ევროპარლამენტარები ამას საჯაროდ არ იტყვიან, მაგრამ ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ორი „დე“-ს დასრულების მკაფიო გზა არის დეოლიგარქიზაცია. როგორც კი ეს განხორციელდება, მოხდება დეპოლარიზაციაც. სანამ ჩვენს ქვეყანაში არის პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებას ინარჩუნებს ხელოვნურად პოლარიზებული გარემოთი, მანამდე არაფერი მოხდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში, მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიები ყველა კრიტიკულ სიტუაციაში აწყობილი იყო იმაზე, როგორ დაეპირისპირებინა ერთმანეთისთვის ხალხი – იყო ბანერები წარწერით „სისხლისმსელები“, ნეგატიური კლიპები და ა.შ. ამიტომ, მთავარი პოლარიზატორი „ქართული ოცნებაა“, რომელსაც არაფერი გაუკეთებია ქვეყანაში ან იმდენად ცოტა გააკეთა, რომ თუ დეპოლარიზება მოხდება, ავტომატურად დაკარგავს ხელისუფლებას. შესაბამისად, მმართველი ძალის სასიცოცხლო ინტერესია, რომ პოლარიზებული გარემო შეინარჩუნოს. თუნდაც, გუშინ მიხეილ სააკაშვილზე იყო საუბარი, აპირებს თუ არა ის პოლიტიკიდან წასვლას და მაშინვე ჩაირთო კამპანია, არასდროს წავა პოლიტიკიდანო... იმიტომ, რომ ეს პოლარიზებული გარემო, სადაც „მტრის ხატები“ აქვთ შექმნილი ოპონენტებისგან, რამენაირად შეინარჩუნონ. ფიქრობენ, რომ თუ ეს გამოეცლებათ, ვეღარასდროს იქნებიან ხელისუფლებაში.

– რადგან სიტყვამ მოიტანა, გკითხავთ – მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე რა მოსაზრება გაქვთ? როგორ იმოქმედებს ეს ოპოზიციის მდგომარეობაზე?

– ეს არ იქნება მარტივი საკითხი. გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა, მიხეილ სააკაშვილს უდიდესი გავლენა აქვს ქართულ პოლიტიკაზე, ჰყავს ბევრი მხარდამჭერი და მისი პარტიის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მის პერსონალურ პოზიციაზე. ამიტომ, ვფიქრობ, ეს საკმაოდ სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს პოლიტიკურ ლანდშაფტში, თუ ნამდვილად ისე განვითარდა პროცესი, როგორც თავად ამბობს.

– უარყოფით ცვლილებებს გულისხმობთ თუ დადებითს?

– ვისაც ეუბნებოდნენ, რომ მიშას გამო, „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცე ხმაო, ისინი დამშვიდდებიან. მეორე მხრივ, შეიძლება დემოტივაცია გამოიწვიოს იმ ადამიანებში, რომლებიც მის გამო დადიოდნენ არჩევნებზე. ასე რომ, რთული სათქმელია... ყველაფერს პოლიტიკური პროცესი გვიჩვენებს, ჯერ ეს ფაქტი არ შემდგარა და დაველოდოთ... ამ ადამიანს მართლა დიდი პრობლემები აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, საბოლოო ჯამში.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა იციან ენმ-ში მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე

ნონა მამულაშვილი: „პატივს ვცემ სააკაშვილის გადაწყვეტილებას“

ბოლო დღეებია, აქტუალურია თემა მიხეილ სააკაშვილის მიერ, ქართული პოლიტიკის დატოვების შესახებ. ადვოკატები საუბრობენ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო, მესამე პრეზიდენტი მალე გაავრცელებს განცხადებას, რომ ქართული პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. იმის გასარკვევად, თუ რა ინფორმაციას ფლობენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში სააკაშვილის პოლიტიკიდან შესაძლო წასვლის შესახებ, „ვერსია“ ენმ-ის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ ნონა მამულაშვილს ესაუბრა:

– ქალბატონო ნონა, პარტიაში რა ინფორმაციას ფლობთ მიხეილ სააკაშვილის მიერ პოლიტიკის დატოვების შესახებ?

– მე, ძირითადად, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებს ვესაუბრები, პარტიასთან არ მქონია, დიდი ხანია, შეხვედრა და ვერ გეტყვით, რა განწყობაა.

– მისი ადვოკატებისგან რა ინფორმაცია გაქვთ?

– ის, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან ცუდად და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა, ამიტომ სასწრაფოდაა გადასარჩენი და გადასაყვანი.

რაც შეეხება მის გადაწყვეტილებას, პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ეს არის უდიდესი ისტორიული პიროვნება, რომლის სახელსაც უკავშირდება ყველა ის რეფორმა, რაც საქართველომ გაიარა 2003-2012 წლებში.

რა თქმა უნდა, ჩემთვის გულდასაწყვეტია მიხეილ სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ პატივს ვცემ მის პირად, ოჯახის გადაყვეტილებას, რადგან დღეს ამ ადამიანის ფიზიკურად გადარჩენის საკითხი დგას და ვერაფერი დაუდგება ადამიანის სიცოცხლეს წინ, რადგან ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება.

– როგორ აისახება ეს გადაწყვეტილება ენმ-ს და ზოგადად, ოპოზიციის მდგომარეობაზე? მისი ამომრჩეველი როგორ შეხვდება ამ ამბავს?

– ამ ეტაპზე, ძალიან რთულია რამე პროგნოზის გაკეთება იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილს საკმაოდ დიდი და გავლენიანი ადგილი უკავია საქართველოს პოლიტიკაში და რა რეაქცია მოჰყვება ამას საქართველოს მოსახლეობისგან, ჩვენი ამომრჩევლისგან, რთულია, პროგნოზის გაკეთება.

ყველა ვთანხმდებით, რომ პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა გადასარჩენი.

– ძირითადად, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლების განცხადებებით, ძნელად დასაჯარებელია, რომ სააკაშვილმა უარი თქვას ქართულ პოლიტიკაზე და რომ ის კულისებიდან ისევ განაგრძობს პოლიტიკაში ჩარევას. ამაზე რას იტყვით?

– „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, სჭირდება, რომ მუდმივად პოლარიზებული იყოს საზოგადოება და მისთვის მნიშვნელოვანია, სააკაშვილისგან ისევ და ისევ საფრთხე შექმნას.

სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს პოლიტიკაში საერთოდ არ აპირებს მონაწილეობას და უნდა გასვლა, რომ ფიზიკურად გადარჩეს. ასე რომ, თუ „ქართულ ოცნებას“ ურჩევნია, სააკაშვილი გაანადგუროს ფიზიკურად, ეს, რა თქმა უნდა, ბევრად შეცვლის პოლიტიკურ გარემოს იმიტომ, რომ კლავს მესამე პრეზიდენტს.

– იმას რით ხსნით, რომ სააკაშვილი აღნიშნულის შესახებ ესაუბრება ადვოკატებს და არა – თანაგუნდელებს?

– მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ჩამოვიდა უკრაინიდან, არ მეძლევა საშუალება, რომ მოვინახულო. ერთადერთი დეპუტატი ვარ, ვისაც არ აძლევენ ნებართვას, რომ მოვინახულო ციხეში.

არაერთი წერილი მაქვს გაგზავნილი და ყველა მცდელობაზე ვიღებ უარს. ასე რომ, მასთან პირადი კომუნიკაცია არ მქონია და ინფორმაციას ვიღებ მისი ადვოკატებისგან.

მე ვიყავი ბოლო ადამიანი, ვისთან ერთადაც, სააკაშვილმა საერთაშორისო ვიზიტები გამართა ვაშინგტონში, სტრასბურგში, ბრიუსელში, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა. შეიძლება, ამასაც უკავშირდება მმართველი პარტიის ასეთი უცნაური გადაწყვეტილება, რომ არ შევიდე მიხეილ სააკაშვილთან.

– მისი ჩამოსვლა ახსენეთ და, როგორ ფიქრობთ, საქართველოში ჩამოსვლისას, ჰქონდა თუ არა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა განზრახული, თუმცა ახლა სხვა გზა არ დარჩა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებიდან გამომდინარე, უწევს ამ გადაწტყვეტილების მიღება?

– მიხეილ სააკაშვილი ჩამოვიდა იმიტომ, რომ დაინახა, როგორი საგანგაშო მდგომარეობა იყო საქართველოში და მას ამ ქვეყნის პრობლემები სტკივა.

წლების მანძილზე, ყოველთვის აქტიურად მუშაობდა საქართველოს თემებზე, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. მესმის, რომ ადამიანისთვის, რომელმაც შექმნა თანამედროვე სახელმწიფო, ალბათ, უფრო მეტადაა მტკივნეული, როცა ხედავს, როგორ იშლება და სპობენ ამ სახელმწიფოს შეგნებულად. მისი ქვეყანაში დაბრუნება, სავარაუდოდ, დაკავშირებული იყო პატრიოტიზმსა და ქვეყნის სიყვარულთან. რაც შეეხება მის ახლანდელ მდგომარეობას, მას არ ექცევიან, როგორც რიგით პატიმარს, მას ექცევიან, როგორც პოლიტპატიმარს და შესაბამისად, მისი მდგომარეობა დამძიმდა. შედეგი მივიღეთ ის, რომ მისი სიცოცხლე დარჩა გადასარჩენი. ამიტომ, მხოლოდ ჰუმანიტარული მისიით საჭიროა მისი ქვეყნიდან გაყვანა იმისთვის, რომ ფიზიკურად გადარჩეს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ის იმედგაცრუებულია საკუთარი თანაპარტიელებისგან? შეიძლება, მეტ მხარდაჭერასა და ქმედებებს ელოდა თქვენი პარტიისგან...

– არ მგონია. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება უფრო ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. სააკაშვილი ყოველთვის ღიად საუბრობდა პარტიის მიმართაც, როცა ჰქონდა შენიშვნები, ამას საჯაროდ აკეთებდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ამის საშუალებაც არ აქვს, რადგან ფიზიკურადაა ძალიან მძიმედ.

არამიზნობრივად გაცემული სახელმწიფო გრანტები – აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო გრანტებით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების ეფექტიანობას ეხება. აუდიტის მიზანი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შემდგომში მათი აღმოფხვრა გახლდათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და ეს სახელმწიფო აუდიტორებმაც გამოავლინეს, რომ ხარვეზები დაფიქსირდა, როგორც გრანტების დაგეგმვის, ასევე, მათი გაცემის პროცესში. მეტიც, აუდიტის შედეგად ისიც კი გაირკვა, რომ სახელმწიფო გრანტის ათვისებისა და ხარჯვის მიზნობრივ მონიტორინგშიც სერიოზული ნაკლოვანებებია!

სახელმწიფო უწყებებში არაეკონომიურად გახარჯული საბიუჯეტო სახსრები

სახელმწიფო გრანტების შესახებ

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ ხარვეზებს გაგაცნობთ, ვნახოთ, რა ოდენობის სახელმწიფო გრანტი გაიცა 2017-2020 წლებში და კონკრეტულად რომელმა უწყებებმა მიიღეს ეს გრანტები. საქართველოს მთავრობის მიერ, 2017-2020 წლებისთვის დამტკიცებული ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის თანახმად, შედგა რეფორმების ოთხ-პუნქტიანი გეგმა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კერძო სექტორის გაძლიერებაა. ამის შესასრულებლად, მთავრობამ გადაწყვეტილებების პაკეტი შეიმუშავა, რომელმაც ქვეყანაში ბიზნესის წარმოება უფრო მიმზიდველი და მომგებიანი გახადა.

მთავრობა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ბიზნესის დაწყების ხელშეწყობაზე, სტარტაპების დაფინანსების ინსტრუმენტის სახით, რაც მიჩნეულია სწრაფი განვითარების ოთხ-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. გეგმის მიხედვით, სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, განხორციელდება საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში და საქართველოში კინოწარმოების განვითარება.

გეგმის მიხედვით, განათლების სფეროში გასატარებელი ღონისძიებებით გათვალისწინებულია განათლების რეფორმის შედეგად, ადამიანური კაპიტალის განვითარება და მისი მაქსიმალური, ეფექტიანი ჩართვა ქვეყნის განვითარებაში, უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს, ხელი შეეწყობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებით სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას.

2017-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ გრანტების სახით დაფინანსებულია: სოფლის მეურნეობა – 366 345 000 ლარით; განათლება – 122 378 000 ლარით; „აწარმოე საქართველოში“ – 90 352 000 ლარით; ინოვაციები და სტარტაპები – 6 552 000 ლარით.

ხარვეზები სახელმწიფო გრანტების დაგეგმვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ექვსში, განსაზღვრული გრანტის გაცემის მიზნები ზოგადი ხასიათისაა, არ არის ან არასათანადოდაა განსაზღვრული. შედეგების შეფასების ინდიკატორები. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სწორედ ეს ხარვეზი არ იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს, კონკრეტულად რა მოცულობით და როგორი ხარისხით შეუწყო ხელი 2017 2020 წლებში, გრანტის სახით დახარჯულმა საბიუჯეტო სახსრებმა საქართველოს მთავრობის მიერ, 2017-2020 წლებისთვის დამტკიცებული, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სსიპ „რუსთაველის ფონდის“ მიერ გამოცხადებული სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებით, რომლითაც ფუნდამენტური კვლევები უნდა დაფინანსებულიყო, დასაფინანსებელი კვლევა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ყოფილიყო სოციალურ პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველი. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის – „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის: უკეთესი უნარები წარმატებული მომავლისათვის“ მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას.

სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის – „ქართული ჩაის“ ერთ-ერთი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის, მათ შორის, ბიო-ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ერთ-ერთი მიზანია საართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა, გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობის გამარტივება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

„სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ გაცემული გრანტების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორებად განსაზღვრულია დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა და გრანტების თანხობრივი მაჩვენებლები სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გაცემული გრანტების მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში, საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური მოღვაწეობის მიზნით ინტეგრირების ხელშეწყობა. ასევე, საუნივერსიტეტო განვითარების პროგრამების პოპულარიზაცია კურსდამთავრებულთა შორის და მათთან თანამშრომლობის გზით პროფესიული ქსელის შექმნა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში გამოვლინდა პროექტის დაგეგმვის ნაკლოვანებები, კერძოდ, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“, ბენეფიციართა მიერ წარდგენილ გრანტის ბიუჯეტში, სათანადოდ არ იყო გაანალიზებული შესასყიდი საქონლისა და მომსახურების რეალური მოცულობები, საბაზრო ფასები, თანამშრომელთა საჭირო რიცხოვნობა და საბაზრო პირობების შესაფერისი სახელფასო განაკვეთები. შედეგად, შერჩეული 19 ბენეფიციარიდან ხუთის მიერ, პროექტის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, იჯარის, მარკეტინგისა და სხვა ხარჯების შემცირების შედეგად 71 562 ლარით გაზრდილია სახელფასო ფონდი! ამასთან, პროექტის მიმდინარეობისას შერჩეული 19 ბენეფიციარიდან ოთხმა, ბიუჯეტის მუხლებს შორის თანხები დაუსაბუთებლად გადაანაწილა და პროექტის ვადა უსაფუძვლოდ გაახანგრძლივა, რის გამოც გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

„სოფლის განვითარების სააგენტოს, პროექტის დაწყების ეტაპზე, არ გააჩნდა ინფორმაცია დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ (ჩაის წარმოების და გადამუშავების ფაქტობრივი მონაცემები). თავდაპირველად, პროგრამით გათვალისწინებული იყო გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის, აღჭურვისა და საწარმოში სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემის – HACCP დანერგვის ვალდებულებები, რაც 35 ბენეფიციარიდან 19-მა ვერ შეასრულა. უფრო ზუსტად, ოთხ შემთხვევაში არ შესრულდა საწარმოს აშენების, აღჭურვისა და სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, 14 შემთხვევაში – საწარმოს აღჭურვისა და სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, ხოლო ერთ შემთხვევაში – სტანდარტის დანერგვის ვალდებულება“.

დასასრული მე-7 გვერდზე

არამიზნობრივად გაცემული სახელმწიფო გრანტები – აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

მე-6 გვერდიდან

ხარვეზები გრანტების გაცემაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამის მიერ გამოცხადებული საგრანტო პირობები და დაფინანსების სქემა არ არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული შესაბამისად, კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცესში არ არის სათანადოდ დაცული გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები, რამაც შესაძლოა, გრანტის ხელმისაწვდომობა შეზღუდოს.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“, სსიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გამოცხადებული საგრანტო პირობები არ იყო მკაფიო, რაც იძლეოდა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას და ვერ უზრუნველყოფდა ბენეფიციართა შერჩევისას თანასწორობის პრინციპის სრულყოფილ დაცვას.

„სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის დეტალური პროცედურის თანახმად, სარეაბილიტაციო სამუშაოები გაწერილია თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან – 36 თვეზე, რაც მოიცავს სამუშაოების დაწყებიდან პლანტაციის მსხმოიარობაში შესვლის პერიოდს. სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანადაფინანსება სრული ოდენობით გაიცემა პირველივე წელს, არადა, ამ სამუშაოების ჩატარების ვალდებულება გაწერილია 36 თვეზე. სამი წლის განმავლობაში ასათვისებელი თანხის პირველსავე წელს სრულად გაცემით, გრანტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იზრდება საბიუჯეტო თანხების დანაკარგების რისკები“.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში – „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის: უკეთესი უნარები წარმატებული მომავლისათვის“, ბენეფიციართა შერჩევის საკონკურსო მოთხოვნებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო გამჭვირვალობისა და სამართლიანი შერჩევის პრინციპების დაცვა. საკონკურსო კომისიამ, შერჩევის პირველ ეტაპზე, სხვადასხვა საფუძვლებით, საგრანტო კონკურსიდან განუხილველად დატოვა 23 ორგანიზაცია, ხოლო შვიდ ორგანიზაციას განაცხადში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის მისცა დამატებითი ვადა, თუმცა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული 23 ორგანიზაციის დისკვალიფიკაციისა და შვიდის შერჩევის საფუძველი. ამასთან, არ არსებობს ინფორმაცია ბენეფიციართა მიმართ დადგენილი ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გამოცხადებული „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის“ ბენეფიციარის შერჩევის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრულია საზღვარგარეთ სწავლისთვის მენტალური და ფსიქოლოგიური, საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიურად პოპულარიზაციის ინტერესი და მზაობა, რომლის განსაზღვრა შეფასების კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, დამოკიდებულია სუბიექტურ მსჯელობაზე.

„შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამში, გრანტების გაცემის პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება, მაგალითად: სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“, საგრანტო ხელშეკრულებები გააფორმა საგადასახადო ვალდებულების მქონე კომპანიებთან; სოფლის განვითარების სააგენტოში პოტენციურ ბენეფიციართა მიერ წარდგენილი საწარმოს შექმნის გეგმები არ შეიცავს მოთხოვნილ დეტალურ ინფორმაციას. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ვერ უზრუნველყოფს კონკურსანტების მიმართ სამართლიანი მიდგომისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს“.

ხარვეზები გრანტების ათვისება-ხარჯვაში

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამში, გრანტის ათვისებისა და მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის პროცესის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა. კერძოდ, სოფლის განვითარების სააგენტო 36-თვიანი პროექტის მონიტორინგს ატარებდა მხოლოდ პირველ წელს. ინოვაციების სააგენტოს მიერ არ ხორციელდებოდა პროექტის მიმდინარეობის ანგარიშების განხილვა დამტკიცება და დაფინანსებულ პროექტებში დამტკიცებული სახელფასო ხარჯები 335 040 ლარით აღემატება ინოვაციების სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად რეკომენდებულ ოდენობას. სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“-ს მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, სალიზინგო კომპანიების მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაში შეყვანილია კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ხარჯები. ასევე, სესხის თანადაფინანსების კომპონენტში, სააგენტოს კონტროლის მექანიზმები სესხის მიზნობრივ ათვისებაზე, საპროცენტო თანხების სწორად განსაზღვრაზე და ბენეფიციართა მიერ საქმიანობის დაწყებასა და პროფილის შენარჩუნებაზე არადამაკმაყოფილებელია და დიდწილად დამოკიდებულია პროცესში ჩართულ მხარეთა კეთილსინდისიერებაზე, რასაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვა მოჰყვება.

„შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში, გრანტის ათვისების, მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის პროცესისა და მასზე რეაგირების ხარვეზები გამოვლინდა. ახალგაზრდობის სააგენტოს, მონიტორინგით გამოვლენილ დარღვევებზე არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილება. კოოპერატივების სააგენტოში გამოვლინდა მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებისა და დოკუმენტირების ნაკლოვანებები. ყოველივე ეს, გაცემული გრანტების ათვისებასა და მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს და აფერხებს დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის შესაძლებლობას“.

შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში გამოვლინდა, რომ გრანტების გაცემის პროცესში მოქმედი ნორმები ვერ უზრუნველყოფს სათანადო პრევენციული კონტროლის მექანიზმების დადგენას. კერძოდ, ინოვაციების სააგენტოს მიერ დადგენილი ზღვარი, შესყიდვების საკონკურსო წესით განხორციელებასთან დაკავშირებით, არაეფექტიანია. რიგ შემთხვევებში, შესყიდვები განხორციელდა კომპანიებისგან, მაგრამ საკონკურსო ვაჭრობის გარეშე.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ყოველივე ეს, ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრებით გაცემული გრანტების ეკონომიური, გამჭვირვალე და სამართლიანი განაწილების პრინციპების დაცვას.

ყველაფერი, რაც IQOS-ის შესახებ უნდა იცოდეთ

მაკა რუხაძე

რა მარკეტინგული ხრიკი აქვს „ფილიპ მორისს“

იცით, რომ თამბაქოსგან მიყენებული ზიანის შემცირება გასახურებელ თამბაქოს შეუძლია? თამბაქოს პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელი „ფილიპ მორისი“ გვარწმუნებს, რომ დიახ, ეს შესაძლებელია. მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო და უფრო მეტი რეპუტაციული ჯანდაცვის ინსტიტუტი იზიარებს თამბაქოს ზიანის შემცირების კონცეფციას და იმ მწეველებს, რომლებიც არ/ვერ ანებებენ თავს მოწევას, პოტენციურად ნაკლები ზიანის მქონე ალტერნატივებს სთავაზობენ. „ალტერნატივებს“ შორის, „ფილიპ მორისი“ ისეთ მოწყობილობებს ასახელებს, რომელთა მოხმარების პირობებშიც, თამბაქო ხურდება, მაგრამ არ იწვის. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრი – NCDC კატეგორიულად ეწინააღმდეგება „ფილიპ მორისს“ და გასახურებელ თამბაქოს უკეთეს ალტერნატივად არ განიხილავს. მეტიც, დაავადებათა კონტროლის ცენტრის სპეციალისტები ხაზგასმით აცხადებენ, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინების თანახმად, მოწევის ერთადერთი ალტერნატივა თამბაქოს ნებისმიერი ნაწარმის გამოყენებაზე სრული უარის თქმაა! ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტების გაიდლაინების მიუხედავად, ბოლო დროს, „აიქოსი“ და განსაკუთრებით, ერთჯერადი ელექტროსიგარეტი პოპულარული გახდა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, არცთუ დიდი ხნის წინ, სოციალური კვლევების ინსტიტუტმა სასტუმრო „რუმსში“ მედიისთვის მორიგი კონფერენცია გამართა თემაზე – „თამბაქოს ზიანის შემცირება – როგორ დავაჩქაროთ პროგრესი“.

ორგანიზატორებმა განმარტეს, რომ გასახურებელი თამბაქო და ელექტრონული სიგარეტი მოწევის უკეთესი ალტერნატივაა, რადგან მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სიგარეტის მოწევის შეწყვეტას. სხვათა შორის, „ფილიპ მორისი“ თავად აწარმოებს გასახურებელი თამბაქოს სისტემას, რომლის მარკეტინგული სახელია IQOS. ამ მოწყობილობის მომხმარებელი, სიგარეტის კვამლის ნაცვლად, ნიკოტინის შემცველ აეროზოლს ჩაისუნთქავს.

„არაერთ სანდო სამეცნიერო კვლევაში მითითებულია, რომ თამბაქოს უკვამლო მოწყობილობა ტრადიციული სიგარეტის ალტერნატივაა იმ ზრდასულ მწეველთათვის, რომლებიც სხვაგვარად გააგრძელებდნენ თამბაქოს მოხმარებას. ეს მეცნიერულადაც დადასტურებულია. სამეცნიერო მტკიცებულებების მიუხედავად, საზოგადოებაში გასახურებელი თამბაქოს მოწყობილობის მიმართ უნდობლობა მაინც არსებობს. ამის მიზეზი კი არასწორი ინფორმაციის გავრცელებაა, რაც სოციუმში დაბნეულობასა და ეჭვებს იწვევს. შედეგი? მწეველებს არ აქვთ წვდომა მოწყობილობის შესახებ ზუსტ ინფორმაციაზე, რაც ზღუდავს მათ არჩევანს. ეს კი საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის დაკარგულ შესაძლებლობას წარმოადგენს“, – განაცხადა სოციალური კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, შორენა ჭოხონელიძემ.

კონფერენციას ონლაინ ჩაერთო „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ იურისტი, ნიკა ნანუაშვილი. ეს იმიტომ, რომ „ფილიპ მორისი“ სწორედ ბიზნეს-ასოციაციის წევრია. ნანუაშვილის თქმით, თამბაქოს ნებისმიერი პროდუქტი ჯანმრთელობას აზიანებს, უბრალოდ, ზოგიერთი პროდუქტი – მეტად, ზოგიერთი – ნაკლებად.

„საუკეთესო არჩევანია მოწევის სრულად შეწყვეტა, თუმცა ბევრი ადამიანი ამას არ ან ვერ აკეთებს. რატომ არ შეიძლება, სიგარეტთან შედარებით, ნაკლებად მავნებელი ალტერნატივის შეთავაზება იმ ზრდასრული მწეველებისთვის, რომლებიც მოწევას არ/ვერ წყვეტენ, არ მესმის“, – უკვირს ნიკა ნანუაშვილს.

მისივე თქმით, თამბაქოს კონტროლის გამკაცრებას მოჰყვა ის, რომ ზუსტად იგივე პროპორციით გაიზარდა კონტრაბანდა და თუთუნის მოხმარება. ლამის ნახევარი ქვეყანა, აღნიშნა ნანუაშვილმა, შესახვევ თუთუნზე ზის. თამბაქოს კონტროლის გამკაცრების გამო, სახელმწიფო ბიუჯეტმა, დაახლოებით, 10 მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა.

„ამჟამად კანონი, პრაქტიკულად, ერთნაირად არეგულირებს, როგორც ჩვეულებრივ, ისე ელექტრონულ სიგარეტსა და გასახურებელ თამბაქოს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აღნიშნული პოლიტიკა მოსწონთ. თუმცა, ჩვენ – საქართველოს ბიზნესასოციაცია – არ მივესალმებით ასეთ მიდგომას, რადგან ეს საფრთხეს უქმნის საქართველოს ისედაც მცირე ბაზარს“.

ნიკა ნანუაშვილი ამბობს, რომ გასახურებელი თამბაქო და ელექტრონული სიგარეტი ისე არ უნდა იბეგრებოდეს, როგორც თამბაქო. მეტიც, ელექტრონული სიგარეტი გასახურებელი თამბაქო „აიქოსი“, რომელიც ახლა ძალიან ძვირია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ მწეველებისთვის, რომლებიც მოწევის შეწყვეტას ვერ ახერხებენ:

„თითქმის ყველა დეპუტატი IQOS-ს ეწევა და რა გამოდის, მათთვის შეიძლება, ხოლო რიგითი მწეველებისთვის – არა?!“, – დასვა რიტორიკული კითხვა ნიკა ნანუაშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი – NCDC კატეგორიულად ეწინააღმდეგება გასახურებელი თამბაქოს აღქმას თამბაქოს ალტერნატივად. ეს იმიტომ, რომ ცენტრის სპეციალისტების განმარტებით, მოწევის ერთადერთი ალტერნატივა მისი გამოყენების აკრძალვაა.

„თამბაქოს ინდუსტრიას ახალი პროდუქტები შემოაქვს არა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრინციპების განსახორციელებლად, არამედ, საკუთარი მოგების მისაღებად“, – მიაჩნიათ NCDC-ის სპეციალისტებს.

იგივე მოსაზრებას აფიქსირებს არასამთავრობო ორგანიზაცია „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი, გიორგი ბახტურიძეც. მისი თქმით, ეს კონფერენცია თამბაქოს მწარმოებელმა „დაასპონსორა“ ზუსტად ისე, როგორც ერთი წლის წინ ივლისში, წინანდალში გამართული ღონისძიება, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან თამბაქოს პოპულარიზაციისა და რეკლამების აკრძალვის შესახებ. მეტიც, ბახტურიძეს მიაჩნია, რომ ამ ტიპის კონფერენციები „მარკეტინგული ხრიკებია“, რომლითაც „ფილიპ მორისი“ ცდილობს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები თავისი ახალი პროდუქტით – „აიქოსით“ დააინტერესოს.

სხვათა შორის, ამერიკის წამლის სააგენტო – FDA-მ, ოთხწლიანი განხილვის შემდეგ, 2020 წელს, „ფილიპ მორისის“ მიერ წარმოებული გასახურებელი თამბაქოს სისტემა IQOS-ს, „მოდიფიცირებული რისკის მქონე თამბაქოს პროდუქტის“ – MRTP ავტორიზაცია მიანიჭა. ამ გადაწყვეტილებით, FDA-მ მწვანე შუქი აუნთო IQOS-ის მარკეტინგს შემდეგ მტკიცებულებებზე დაყრდნობით:

„IQOS-ის სისტემა ათბობს თამბაქოს, თუმცა არ წვავს მას; ეს მნიშვნელოვნად ამცირებს საშიში ან პოტენციურად საშიში ქიმიკატების წარმოქმნას; სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვეულებრივი სიგარეტიდან მთლიანად IQOS-ზე გადასვლა მნიშვნელოვნად ამცირებს ორგანიზმზე მავნე ან პოტენციურად მავნე ქიმიკატების ზემოქმედებას“.

მეორე მხრივ, FDA ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, „აიქოსი“ სულაც არაა უსაფრთხო და მას არც FDA-ს მიერ ავტორიზებულის სტატუსი აქვს.

მართალია, IQOS-ის მწარმოებელი „ფილიპ მორისი“ ამტკიცებს, რომ მისი ახალი პროდუქტი მოწევის საუკეთესო ალტერნატივაა, თავად „აიქოსის“ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ გასახურებელი თამბაქო შეიცავს ნიკოტინს, რამაც იცის მიჩვევა (ადიქცია). მეტიც, ზოგიერთ მომხმარებელში, „აიქოსი“ იწვევს გულ-მკერდის ტკივილს, ხველებას, სუნთქვის გაძნელებას, პირისა და ყელის გამოშრობას, გინგივიტსა და გულისრევას. გარდა ამისა, ნიკოტინის შემცველი პროდუქცია არ უნდა მოიხმარონ ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ გულის დაავადებების მომეტებული რისკი, დიაბეტი ან ეპილეფსია. გასახურებელი თამბაქოს მოხმარება დაუშვებელია ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს.

სტატიას კი იმ მთავარი გაფრთხილებით ვასრულებთ, რაც „აიქოსის“ ვებ-გვერდზეა მითითებული:

„საუკეთესო გზა თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად, თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარების შეწყვეტაა!“

სამართალი

№30 3 აგვისტო 2022 წ

„პონტის“ გამო მოკლული ბიჭები

როგორ იყენებენ უცხოეთში მყოფი „კანონიერი ქურდები“ საქართველოში ახალგაზრდებს

ბათო ჯაფარიძე

28 ივლისს, ცხვარიჭამიაში, 20 წლის მირიან კუკავა მოკლეს. ბოლო დროს, ახალგაზრდებს შორის, სისხლიანი გარჩევები ძალიან გახშირდა და უკვე მშობლებიც კი შიშით უყურებენ ისეთ დაბადების დღეებსა თუ დღეობებს, სადაც მათი სოლიდური რაოდენობა იქნება. როგორც გვიყვებიან, ყველაფერი შელაპარაკებით დაიწყო, მაგრამ ახალგაზრდები დააშოშმინეს, თუმცა როგორც ჩანს, ერთ-ერთმა მხარემ ჩათვალა, რომ ეგო ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილა და უბანში დარეკა, ე.წ. კაი ბიჭები შეაწუხა. ისინიც ავიდნენ და... 20 წლის ახალგაზრდას სიცოცხლე შეიწირეს.

დავიწყოთ იმით, რომ ეს „ქურდული მენტალიტეტი“ და „კაი ბიჭობა“ ჩვენთან ვერ დავასრულეთ. ეს დასრულდა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში (დაახლოებით, საქართველოს დარი სიტუაციაა აზერბაიჯანში) და „კანონიერი ქურდების“ გავლენა არათუ შესუსტდა, არამედ, საერთოდ აღარ არსებობს. ზოგადადაც, თანამედროვე „კანონიერი ქურდები“ რადიკალურად განსხვავდებიან საკუთარი წინამორბედებისგან და ისინი უფრო სიცილიელ მაფიოზებს ჰგვანან, რომლებიც დაცვის თანხლებით გადაადგილდებიან და არაფრის კეთება ერიდებათ – სათამაშო ბიზნესით დაწყებული, ნარკოტიკების გაყიდვით გაგრძელებული და პროსტიტუციით დამთავრებული. აი, საქართველოში კი ყველაფერი ეს, ოფიციალურად „ტეხავს“, მაგრამ არაოფიციალურად, საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდების“ უმრავლესობა ჩართულია, როგორც ნარკოტიკების სქემაში, ისე სათამაშო ბიზნესსა და იარაღით უკანონო ვაჭრობაშიც კი.

სამაგიეროდ, ისინი საქართველოში მყოფ „კაი ბიჭებს“ აგულიანებენ, რომ ყველაფერი ეს, აკრძალულია და თუ კრიმინალური სამყაროს უმაღლესი საფეხურისკენ სვლა სურთ, ძველ ქურდულ „წესებს“ უნდა დაემორჩლონ.

ჰოდა, სწორედ ამის გამო, განსაკუთრებით რეგიონებში, გროვდება „ობშჩიაკები“, „აკაჩავებენ“, როგორც ადგილობრივ ბიზნესმენებს, ისე ახალგაზრდებს, რომლებსაც ფულს აწერენ და სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ვერ ბედავს სამართალდამცავებს მიმართოს და ოფიციალურად მოითხოვს დაცვა იმიტომ, რომ... ისევ მენტალური პრობლემა გვაქვს, პოლიციასთან თანამშრომლობა ხომ „ტეხავს“.

როცა დაზარალებული შევიწროვებული ადამიანი პოლიციაში მიდის, ამბობენ, რომ ის „გაბოზდა“ და როცა არ მიდის და იხდის, „დაგოიმდა“ ანუ ასარჩევი „ბოზობასა“ და „გოიმობას“ შორისაა, სხვა გზას არ ტოვებს კრიმინალური სამყარო. რეალურად, პოლიციაში წასვლა „ბოზობა“ კი არა, ლოგიკური და სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან ამ გზით, ადამიანი თავს იცავს.

შს სამინისტროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ მიმართვაზე სათანადო რეაგირება აქვს და ყველაფერს აკეთებს, რომ კრიმინალური აზროვნების ადამიანები ციხეში იყვნენ, კანონმორჩილმა მოქალაქეებმა კი მშვიდობიანი ცხოვრება გააგრძელონ.

ასევე, თვე არ გავა, რომ სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდებთან კავშირში მყოფი რამდენიმე პირი არ დააკავონ. ისინი საქართველოდან ევროპაში მყოფ ქურდებს ურეკავენ, რჩევას ეკთხებიან, საქმეებს არჩევინებენ და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ყველაფერი ამას მარტივად ახორციელებენ. ადამიანების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ „კანონიერი ქურდები“ სასტიკები, საშიშები და დაუნდობლები არიან. სინამდვილეში კი, მათი უშიშრობის მითი დამსხვრეული – იმის მიუხედავად, რომ თურმე, ციხე ქურდებისაა, სწორედ ციხის შიშით, ისინი წლებია, საქართველოში ვერ ჩამოდიან.

სხვათა შორის, ორი კვირის წინ, პოლონეთში, „კანონიერი ქურდების“ მორიგი შეკრება, „სხადნიაკი“ შედგა. ვიღაცამ ყველაფერი ეს, ადგილობრივ სამართალდამცავებს შეატყობინა და სპეცოპერაციის შედეგად, მათი უმრავლესობა დააკავეს. ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ ასეთი სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულთა უმრავლესობას კვლავ ათავისუფლებენ, რადგან „კანონიერი ქურდობაზე“ სასჯელი მხოლოდ სამ ქვეყანაში – საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაშია. ჰოდა, მხოლოდ ამის გამო, მათ ექსტრადაცია ვერ ხერხდება, რადგან აღნიშნულ დანაშაულს, ევროპის არცერთი ქვეყანა არ სცნობს. იმის მიუხედავად, რომ ევროპულ ქვეყნებში შს სამინისტროს ატაშეები ცუდად ნამდვილად არ მუშაობენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინიც უძლურნი არიან. ყველაფერი ეს „კანონიერი ქურდებმაც“ კარგად იციან და ამიტომ, შავ საქმეებს სწორედ იმ ადამიანების ხელით აკეთებენ, ვისაც მომავალში „ქურდობა“ უნდა. შედეგად, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ციხეში მიდის, ქურდები კი მშვიდად აგრძელებენ ევროპის ქვეყნებში ცხოვრებას და ახალ მსხვერპლს ეძებენ... საქართველოში.

როგორ არ გავიხსენოთ ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმე, როცა ახალგაზრდა, უნიჭიერესი ბიჭი პირდაპირ ქუჩაში ჩაცხრილეს. ბევრი ელოდა, რომ განაჩენი მკაცრი იქნებოდა, მაგრამ რეალურად, მკვლელებს 16 და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. შედეგად, როცა ისინი ციხიდან გამოვლენ, 40 წლის იქნებიან და როცა ამ ასაკში ასეთი სისასტიკეს ჩადიან, ციხიდან გამოსვლის შემდეგ (თუ ბოლომდე მოიხადეს და „შემთხვევით“ „უდო“ არ შეახეს) უკეთესს რატომ იზამენ?

აქ მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვსაუბრობთ, ზოგადად ვამბობთ, მკვლელობა საქართველოშ მსუბუქად ისჯება. რატომ? – იმიტომ, რომ მირიან კუკავას მკვლელობაზე საქმე 108-ე მუხლთ აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 15 წელი განზრახ მკვლელობისთვის ძალიან, ძალიან ცოტაა.

ვერ გეტყვით, პეტიცია უნდა შედგეს თუ ადამიანების ჯგუფმა შეიტანოს განაცხადი პარლამენტშ, მაგრამ კანონი აუცილებლად გასამკაცრებელია, გასამკაცრებელია უპრეცედენტოდ და მაგალთისთვის, განზრახ მკვლლებისთვის სასჯელი 25 წლიდან უნდა დაიწყოს და თან შეწყალების უფლების მოთხოვნის გარეშე ანუ საავარაუდო დამნაშავემ ზუსტად უნდა იცოდეს, რომ თუ მოკლავს, საუკეთესო შემთხვევაში, გისოსებს მიღმა 25 წელს გაატარებს. შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, შეწყალების უფლება კონსტიტუციით არის გაწერილიო, მაგრამ კონსტიტუციით, სიცოცხლის უფლებაც გაწერილია და ასეთი მძიმე დანაშაულის ჩამდენს შესაბამისი სასჯელი უნდა დაეკისროს.

რა უნდა უთხრას სასამართლომ კუკავას მშობლებს, მკვლელს 15 წელი მივუსაჯეთო? მერე? მერე რა ხდება? მკვლელობაში ეჭვმიტანილი, რომელიც ახლა 22 წლისაა, ციხიდან 37 წლის ასაკში გამოვა (იმანაც თუ ბოლომდე მოიხადა) და არც არაფერი. ჰოდა, პოტენციურმა მკვლელებმა დანის მოქნევამდე რომ იცოდნენ, 25-წლიან სასჯელზე მიდიან, ძალიან, ძალიან კარგად დაფიქრდებიან და „პონტის გულისთვის“ აღარ გაიმეტებენ თანატოლებს.

ჰო, „პონტის გულისთვის“ და სწორედ ამ მიზეზით გახშირდა ბოლო დროს, ახალგაზრდებს შორის დაუნდობლად დანის ქნევა. სამწუხაროდ, ჩვენც მივეჩვიეთ ახალგაზრდების სიკვდილს და ერთდღიანი გლოვა ვისწავლეთ, სწორედ რომ ერთდღიანი, რადგან შემდეგ ოჯახისა და ახლობლების გარდა, გარდაცვლილი აღარავის ახსოვს და მომხდარი ერთი ოჯახის ტრაგედიამდე დადის.

ბარემ, ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიტყვი – მკვლელებს, რომლებიც სასჯელის მოსახდელად ზონაზე წავლენ, უკვე პატიმრებისთვის მოუწევთ ახსნა, რის გამო მოკლეს ახალგაზრდა კაცი და მერწმუნეთ, პატიმრების სამართალი ბევრად მკაცრია. ვიღაცას შეიძლება ყბაშიც მოხვდეს მწარედ და ვიღაცას ნეკნებიც დაუმტვრიონ სწორედ იმიტომ, რომ გაუმართლებლად და „პონტის გამო“ ჩაიდინა მკვლელობა, თუმცა ყველაფერი ეს, ვერაფრით ანუგეშებს მშობლებს და ვერ ანუგეშებს იმიტომ, რომ მათ დაკარგეს შვილი, იმედი, მომავალი...

ცნობისათვის, ნარკოდანაშაული ყველაზე მეტად ნაციონალური მოძრაობის დროს შემცირდა და ეს, ერთი შეხედვით, არაადეკვატურმა სასჯელებმა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ნარკოპოლიტიკა შემსუბუქდა და ლოიალური გახდა, დანაშაულმა მოიმატა და თვე არ გადის, შსს-მ ნარკორეალიზატორების დაკავების შესახებ არ გვამცნოს. ჰოდა, საქმეში ვნახეთ, რომ არაადეკვატური სასჯელი ამართლებს და განზრახ მკვლელობისთვის, პირდაპირ 25 წელი არაადეკვატურად სულაც არ მეჩვენება, მეტიც შეიძლება, მაგრამ ეგებ, ჯერ აქედან დავიწყოთ.

ტრაგედია თბილისის ღამის კლუბში – გოგონა მსუბუქი ნარკოტიკების მიღების შემდეგ გარდაიცვალა

ვინ არის იგორი – მსუბუქი ნარკოტიკის გასაღების სქემა

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კლუბური ნარკოტიკი ძალზედ პოპულარულია. არცთუ შორეულ წარსულში, სამართალდამცავებმა რამდენჯერმე განახორციელეს რეიდი ღამის კლუბებში და ყველა შემთხვევაში, იმ ნარკოტიკის რამდენიმე ასეული აბი იპოვეს, რომელიც ერთი შეხედვით, მსუბუქად ითვლება, მაგრამ რეალურად, ამ ნარკოტიკებიდან უფრო მძიმე საშუალებებზე გადასასვლელად სულ ერთ ნაბიჯია საჭირო. ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით, ლოიალური დამოკიდებულება სულ უფრო პოპულარული ხდება და სამართალდამცავებიც, ხშირ შემთხვევაში, უძლურნი არიან, რადგან მომხმარებელთა უდიდეს ნაწილს, სასამართლო გირაოთი ათავისუფლებს და გათავისუფლებული პირი, გირაოს თანხის ნაცვლად, იმ თანხას ეძებს, რომლითაც ახალი დოზის შეძენას მოახერხებს. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ზემოხსენებულ რეიდების წინ მოხდა ანუ შეიძლება ითქვას, რომ იმ რეიდებს სწორედ ეს ისტორია უსწრებდა და მას ნარკომიმართულებით გაგრძელება მხოლოდ იმიტომ არ მოჰყვა, რომ მუხლის კვალიფიკაცია შეიცვალა.

მაშ ასე, ზაფხულის ერთ საღამოს, დედაქალაქში, საკმარისზე მეტად ცნობილ ღამის კლუბში, ერთბაშად შვიდი ადამიანი მოიწამლა, კლუბიდან შინ მისული გოგონა კი გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა კლუბი მაშინვე დაკეტეს, მოწამლულებს სასწრაფო ანალიზი ჩაუტარეს, გოგონას გვამი კი ექსპერტიზაზე გადააგზავნეს. პასუხმა არ დააყოვნა – ყველა მათგანს ერთი და იგივე, სავარაუდოდ, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული და მოწამვლაც ამის ბრალი იყო. ახლა, მთავარი ის გახლდათ, ძალოვნებს გაეგოთ არა მარტო ამ ნარკოტიკების გამსაღებლის ვინაობა, არამედ, იმ პირისაც, ვინც ამ ნარკოტიკს ამზადებდა. ექსპერტებმა ნივთიერებები ცალკ-ცალკე დაშალეს და შეისწავლეს, რის შემდეგაც დასკვნეს, რომ ვიღაც ყველაფერს ერთმანეთში ურევდა და იღებდა ნარკოტიკს, რომელიც გარკვეულ პრეპარატებთან თანხვედრის შემთხვევაში, ძლიერ ინტოქსიკაციას იწვევდა. მოწამლული რვა ადამიანიდან შვიდი გადარჩა, ერთი გარდაიცვალა და არსებობდა ვარაუდი, რომ გოგონას სხეულმა ნარკოტიკის სიძლიერეს ვერ გაუძლო, თუმცა...

„ის, ვინც ამ ნარკოტიკს ამზადებს, ძალიან კარგად ერკვევა ქიმიაში. ამასთან ერთად, გოგონამ აღნიშნულ ნარკოტიკთან ერთად, წნევის დამწევი პრეპარატიც მიიღო ანუ წამალი, რომელიც რეალურად არ სჭირდებოდა. სავარაუდოდ, მას ის საკვებში ან სასმელში გაურიეს და ვინც ეს გააკეთა, მანაც ზუსტად იცოდა, რომ კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკისა და წნევის დამწევი წამლის შერევა ფატალურ შედეგს გამოიწვევდა ანუ გოგონა მოკლეს და ყველაფერი ეს, საყოველთაო მოწამვლის შემდეგ გადაწყდა, რადგან შვიდი პირი ცუდად ბარში გახდა, გოგონა კი სახლში მისვლიდან ორ საათში გარდაიცვალა“, – ნათქვამი იყო ექპსეტიზის პირველად დასკვნაში.

დასკვნა კი პირველადი იმიტომ იყო, რომ ექსპერტს არ ჰქონდა უფლება, ვერსიებზე ემსჯელა, მას, უბრალოდ, უნდა დაეწერა, რა და როგორ იყო, ვერსია კი გამოძიების პრეროგატივა გახლდათ. ამიტომ, ექსპერტს დასკვნა ლამის თავზე გადაახიეს, ახლიდან დააწერინეს, თუმცა გამოძიება სწორედ იმ ვერსიას გაჰყვა, რომელიც ექპერტს ეწერა.

საინტერესო იყო, ვის აწყობდა გოგონას სიკვდილი და რაც მთავარია, ვისგან აიღეს ნარკოტიკი. საჭირო იყო, კლუბში მყოფი ახალგაზრდებიდან ისეთების ნახვა, რომლებსაც კანონთან პრობლემა ჰქონდათ და ასეთები მრავლად ნახეს. ყველა მათგანს მარტივად აუხსნეს, რომ ციხის გზას გაუყენებდნენ, თუ ნარკოტიკის გამსაღებელს არ დაასახელებდნენ და ყველამ ერთხმად ხელი... ერთ-ერთი ბარმენისკენ გაიშვირა. მას ნარკოტიკი კანფეტის ქაღალდში ჰქონდა გახვეული და როცა ვინმეს ყიდვა სურდა, უბრალოდ, ეუბნებოდა, კანფეტი მომეცი და ისიც აძლევდა.

ბარმენის ნახვა, რაღა თქმა უნდა, პრობლემა არ იყო და ახლა მას უნდა ეთქვა, ვისგან იღებდა ნარკოტიკს გასაყიდად. როცა პოლიცია დაადგა, ბარმენს შიშისგან ლამის გული გაუსკდა, რადგან იცოდა, რომ ნარკოტიკით გოგო გარდაიცვალა და ამიტომ, მაშინვე თქვა, თუ ვინ აწვდიდა ნარკოტიკს. დავარქვათ ამ პირს, პირობითად, იგორი, რადგან ის საქართველოს მოქალაქე არ გახლდათ და თბილისშიც, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ყველაფერი ეს ბარმენმა თქვა, თორემ სამართალდამცავებმა არც იგორის მისამართი იცოდნენ, არც – გვარი და ზოგადად, არსაიდან გამოჩნდა კაცი, რომელიც ტოვებდა ნარკოტიკს, მიჰქონდა ფული და ყველა კმაყოფილი იყო.

ძალოვნებმა ვიდეოკამერების შესწავლა დაიწყეს, იგორის სახე დააფიქსირეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს. ძებნაც არის და ძებნაც, გამომძიებლები ეჭვმიტანილს ქუჩის სათვალთვალო კამერით ეძებდნენ და საბურთალოზე, ერთ-ერთმა კამერამ ძებნილი დააფიქსირა. დაახლოებით, ნახევარ საათში, ნარკოდილერი ხელბორკილით შს სამინისტროს შენობაში მიიყვანეს.

ჩატარდა მისი ბინის ჩხრეკაც, სადაც ნამდვილი ქიმიური ლაბორატორია აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, იგორს ქიმიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და შემდგომში გაირკვა, რომ მისგან ძალიან კარგი სპეციალისტი დადგებოდა, თუმცა ქიმიკოსებს ნამდვილად არ აქვთ ის შემოსავალი, რომელსაც იგორი ნარკოტიკებით იღებდა.

„ჩემი ნარკოტიკი სუფთაა. ძალიან სუფთა. თქვენ ბარმენს მიაწექით, ვიღაცამ ჩემს კანფეტებში შხამი გაურია და სავარაუდოდ, ეს კონკურენტებმა გააკეთეს, რადგან ჩემი საქონელი ჩაწვეს. ბარმენს აუცილებლად ეცოდინება, ვინ ართმევდა ჩემს კანფეტებს და ვინ უბრუნებდა უკან“, – თქვა დაკავებულმა და სამართალდამცავები ისევ ბარმენს მიადგნენ.

ის ჯერ გაოცდა, მეტი არაფერი ვიციო, შემდეგ კი ხელი ერთ-ერთი მენეჯერისკენ გაიშვირა, მან რამდენჯერმე გამომართვა კანფეტების შეკვრა, აქაოდა, შეიძლება პოლიცია მოვიდესო, თუმცა შემდეგ უკან დამიბრუნაო. გამომძიებლებმა მენეჯერის გარემოცვაც შეისწავლეს და გაარკვიეს, რომ მისი და გარდაცვლილი გოგონას თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი იყო. რაღა თქმა უნდა, მენეჯერის დაკითხვა არ გადადეს. მენეჯერი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, არც ბარმენის სიტყვებს ადასტურებდა და ზოგადად, თავი გამოიშტერა, რა კანფეტები და მარმელადი, პირველად მესმის და აგერ, ჩემი დის უახლოესი მეგობარი გარდაიცვალა, გლოვა მაცადეთო.

ძალოვნები კი ხვდებოდნენ, რომ ბარმენი არ ტყუოდა, მაგრამ მტკიცებულება არ ჰქონდათ – ერთის წინააღმდეგ, მეორის სიტყვა იყო და რატომ უნდა დაეჯერებინა სასამართლოს ბარმენისთვის და არა – მენეჯერისთვის? ამიტომ, მისი ტელეფონი შეამოწმეს და ბოლო დროს განხორციელებული ზარების მიხედვით, ერთ პირზე გავიდნენ, რომელიც... ასევე, ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო. მისი სახლის ჩხრეკა მოულოდნელად ჩატარდა და იქაც თითქმის ანალოგიური ლაბორატორია იპოვეს. სახლის პატრონს მარტივად აუხსნეს, სამუდამო პატიმრობა არ აგცდება, თუ სქემას არ გაგვიშიფრავო და მანაც დაიწყო:

„კლუბის მენეჯერი ჩემი მეგობარია. მითხრა, ჩვენთან, კლუბში, რაღაც მსუბუქი ნარკოტიკი კარგად იყიდება, ვიღაც შენნაირ ქიმიკოსს დააქვს, ეგებ, შენც გააკეთო და იმას გავუშვებ, ჩვენ გავყიდოთო. ორჯერ მომიტანა კანფეტი და ქიმიური ანალიზის შედეგად, შემადგენლობა და დოზები გავიგე. შემდეგ, მენეჯერს მივეცი ფხვნილი, რომელიც იმ კანფეტისთვის უნდა დაემატებინა და ეს მოწამვლას გამოიწვევდა და არა – სიკვდილს. მე იმ გოგოს სიკვდილში ბრალი არ მიმიძღვის, მოწამვლას ვაღიარებ, ჩემს მიერ მომზადებული ფხვნილით მოხდა“...

გამომძიებლებმა მენეჯერის და, გარდაცვლილი გოგონას თანაკლასელიც დაკითხეს. იმან თავი გაიგიჟა, რა ნარკოტიკი, მთელი საღამო ერთად ვიყავით, მომავალ თვეში ქორწილი უნდა ჰქონოდა და უბედნიერესი იყო, ნარკოტიკს საერთოდ არ ეტანებოდაო. მოკვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ გარდაცვლილი სწორედ თავისი დაქალის ყოფილ საქმროზე თხოვდებოდა. ჰო, ასე მოხდა, დაქალმა დაქალს საქმრო გააცნო, შემდეგ ბიჭი ამ გოგოზე გადაერთო და იმის მიუხედავად, რომ დაქალებმა ცოტა იკინკლავეს, წლების მეგობრობა არ დაივიწყეს და შერიგდნენ, მაგრამ ქალური თავმოყვარეობა და შურისძიების წყურვილი ასე მარტივად გაქრებოდა? სამართალდამცავებმა გოგოს სახლი გაჩხრიკეს და მის ჩანთაში წნევის დამწევი წამლის ნაწილაკები იპოვეს. მანამდე გამომძიებლებს მენეჯერიც დამუშავებული ჰყავდათ და მას უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ ერთ-ერთი კანფეტი თავის დასაც მისცა, ოღონდ არა ისეთი, ვინმე რომ მოეწამლა, უბრალოდ, გასართობად მისცა და... ისიც დააყოლა, რომ ამ კანფეტთან ერთად, სხვა პრეპარატი არ უნდა მიეღო, განსაკუთრებით, წნევის დამწევი, რადგან შესაძლოა, ფატალური შედეგი დამდგარიყო ანუ გოგომ იცოდა, რომ ეს ნარკოტიკი კონკრეტულ წამალთან ერთად, მომაკვდინებელ შხამად იქცეოდა.

მართალია, ძიებას პირდაპირი მტკიცებულებები არ ჰქონდა, მაგრამ დაკავებულმა გოგომ ჩვენების მიცემა გადაწყვიტა.

„მოკვლა ნამდვილად არ მინდოდა, მსურდა, ის ნარკოტიკი ქორწილის დღეს მიმეცა და არაადეკვატურად მოქცეულიყო, მაგრამ მერე ვიფიქრე, მოვწამლავ-მეთქი... ძალიან, ძალიან გაბრაზებული ვიყავი, ბავშვობის მეგობარმა საქმრო „ამახია“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ, ის ნარკოტიკიც და ერთი აბი წნევის დამწევი ჩუმად შევურიე სასმელში... მოკვლა მართლა არ მინდოდა“...

სასამართლომ შესაბამისად იმსჯელა, ბარმენს ნარკოტიკების გასაღებისთვის 8 წელი მისცეს, იგორს – 20, მენეჯერს 6 წელი აკმარეს, ხოლო მის მეგობარ ქიმიკოსს – 4, რადგან მას მინი-ქარხანა კი ჰქონდა აწყობილი, მაგრამ წარმოება არ ჰქონდა დაწყებული. გოგონას კი... ამბობენ, ვიღაცები ჩაერივნენ, განზრახ მკვლელობა გაუფრთხილებელში გადაუყვანეს და ექვსწლიანი ციხე მიუსაჯეს.

ბათო ჯაფარიძე

საქართველოს მუზეუმებში არაერთი ისეთ ნივთი ინახება, მსოფლიო ღირებულება რომ აქვს და შეუფასებელია. მართალია, საბჭოთა კავშირის დროს, რუსეთი ცდილობდა, ბევრი რამ, სწორედ მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში გაეტანა, მაგრამ ქართული მხარე ახერხებდა და უმნიშვნელოვანეს ექსპონატებს აქ ტოვებდა...

სოხუმში ცნობილი სომეხი მოკრივე მოკლეს

მკვლელობის ოქროს მოწმის სკანდალური აღიარება

1972 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში სომეხი მოკრივე გახდა. სამიოდე წლის შემდეგ, მან კარიერა დაასრულა და საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდა, რადგან ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ექიმებმა პირდაპირ უთხრეს, თუ სიცოცხლე გინდა, ზღვის სანაპიროზე უნდა იცხოვრო და ზღვის ჰაერი ისუნთქოო. საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლებამ, ერთობლივი ძალისხმევით, ჩემპიონისთვის ოროთახიანი ბინა სოხუმში „იჩალიჩა“ და იმის მიუხედავად, რომ სამოთახიანს სთავაზობდნენ, მან უარი თქვა, ცოლ-შვილი არ მყავს და ორი ოთახიც მეყოფაო. ჰოდა, სწორედ ეს კაცი ნახეს საკუთარ სახლში გარდაცვლილი სამართალდამცავებმა, მაგრამ ხმაური რომ არ ამტყდარიყო, საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაადეს. მკვლელობის გამოსაძიებლად, სომხურმა მხარემ ორი კაცის ჩართვა ითხოვა ჯგუფში, საქართველომ ერთი დაუკმაყოფილა.

„ყველაზე საინტერესო ექსპერტიზის დასკვნა იყო. ექსპერტი ამბობდა, ეს კაცი თავისი სიკვდილით მოკვდა, ადრენალინის დოზა მოემატა სისხლში ბუნებრივად და გულმა ვერ გაუძლოო. ამის მიუხედავად, აშკარად ჩანდა, რომ გარდაცვალებამდე, მოკრივემ საკუთარ სახლში ვიღაცასთან იჩხუბა და თან, როგორ? ხელზე კანი გადატყავებული ჰქონდა ანუ იმ ვიღაცას მაგრად მოსცხო და ბინაშიც არეულობა იყო, ყველგან სისხლი იყო მიშხეფებული, თუმცა იმავე ექსპერტიზის პასუხით, სისხლი ორ უცნობ მამაკაცს ეკუთვნოდა, ხელებზე გადამძვრალ ტყავს თუ არ ჩავთვლით, სომეხ ჩემპიონს არაფერი სჭირდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც მეზობლებმა თქვეს, გარდაცვლილს სახლს ერთი ადგილობრივი რუსი ქალი ულაგებდა, რომელიც მასთან ყოველ მეორე დღეს მიდიოდა და ქალის ასაკის გათვალისწინებით, გამორიცხული იყო, მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა. როცა სამართალდამცავებმა დამლაგებელი ნახეს, ამაში თავადაც დარწმუნდნენ – 80 წელს მიტანებული ქალბატონი, სანდომიანი სახითა და მზრუნველი საუბრით, ცრემლებს ვერ იკავებდა, თქვენ კიდევ არ იცით, რა კაცი მოკლესო. ჰო, მეზობლებმა ისიც თქვეს, რომ მოკრივე იქვე, მის ახლოს მცხოვრებ სომეხ მამაკაცთან მეგობრობდა, თითქმის მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ და პრაქტიკულად, დილიდან საღამომდე, სულ ერთად იყვნენო. მოიკითხეს და ის მეგობარი საავადმყოფოში აღმოჩნდა, გულის შეტევა დამართნია მომხდარიდან სამი დღით ადრე. მეგობრის სიკვდილი უკვე იცოდა და როცა გამომძიებლები მივიდნენ, ბოლო ხმაზე, მოთქმით ტიროდა.

„შეუძლებელია, ასე ვინმემ ითამაშოს. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ის გარდაცვლილ მეგობარზე წუხდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ წარსულში რამდენჯერმე იყო ნასამართლევი და ყოველთვის საქმეში ოქროული ფიგურირებდა ანუ ის მოპარულ ძვირფასეულობას ყიდულობდა, ოქროს ადნობდა და ახალ სამკაულებს აკეთებდა. ყველამ იცოდა, რომ სასწაული ხელი ჰქონდა, მაგრამ აგერ, უკვე 10 წელი იყო, პატიოსნად ცხოვრობდა და მის სახელს, ეჭვითაც კი, ერთი საქმეც არ დაკავშირებია. ამის მიუხედავად, ვიცოდი, რომ ჩემს წინ გამოცდილი კრიმინალი იდგა და ამიტომ, ფრთხილად დავკითხე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

კრიმინალს ბევრი არაფერი უთქვამს, საავადმყოფოში ვიყავი, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლება მოეკლა ან რისი გულისთვის, რადგან მას ძვირფასი ნივთები არ ჰქონია და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედალიც სომხეთში, სახლში ჰქონდა დატოვებულიო. ექიმებმა დაადასტურეს, რომ მკვლელობის დროს, მამაკაცი ნამდვილად პალატაში იყო და ეს იმ მოხუცმაც დაადასტურა, რომელიც ჩემპიონის მეგობართან პალატას იყოფდა, თუმცა მოხუცს ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და ამიტომ, ის ექიმს პალატიდან გააყვანინეს.

„წინა დღეს, ორი ბიჭი იყო მოსული ამ კაცთან, ჯერ ხმადაბლა საუბრობდნენ, შემდეგ უკვე ხმას აუწიეს და რაღაც ხანჯალი ახსენეს. ძალიან გაბრაზებულები წავიდნენ, ეს კი საერთოდ არ აღელვებულა“, – თქვა მოხუცმა.

ხანჯლის ხსენებაზე გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. სამ დღეში, სოხუმში, გამოფენა ეწყობოდა, სადაც მთავარი ექსპონატი, სწორედ ხანჯალი იყო, აფხაზეთში ნაპოვნი მეექვსე საუკუნის ხელნაკეთი საოცრება, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. ძალოვნები გამოფენის ორგანიზატორებთან მივიდნენ და ხანჯალი მოიკითხეს. ორგანიზატორებმა მთავარი საუნჯე დიდი რუდუნებით გამოაბრძანეს და ანახეს ანუ ყველაფერი ადგილზე იყო.

„მივხვდით, რომ თუ ვინმე რამეს გვეტყოდა, ეს ისევ და ისევ, გარდაცვლილის მეგობარი გახლდათ და ამიტომ, მისი დაკავება გადავწყვიტეთ, მაგრამ როცა საავადმყოფოში მივედით, გვითხრეს, რომ ჩვენი წასვლის შემდეგ, ექიმთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ისიც წავიდა და თან ისე ჩქარობდა, ტანსაცმლის ნაწილი საავადმყოფოში დატოვა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა გაქცეულის ბინის ჩხრეკის ორდერი მოიპოვეს და მოწმეებთან ერთად, ბინაში შევიდნენ. იქ პატარა სახელოსნო იყო მოწყობილი, ისეთი ინსტრუმენტები ჰქონდა, ნებისმიერ ოქრომჭედელს შეშურდებოდა და იქვე იყო ნაკეთობებიც, ბიჟუტერია და ვერცხლეული, რომელიც ზღვის სანაპიროზე იყიდებოდა. ნახეს კიდეც რამდენიმე ქალბატონი, რომლებმაც აღიარეს, რომ მისგან ბიჟუტერიას იძენდნენ და ტურისტებზე ჰყიდდნენ, თუმცა იაფფასიანი პროდუქციის გარდა, არასდროს არაფერი შეუძენიათ, რადგან მას ასეთი ნივთები არ ჰქონდა.

გაქცეულზე ძებნა გამოცხადდა, თუმცა ამაოდ, მესამე დღეს, ის განყოფილებაში თავისი ფეხით გამოცხადდა და გამომძიებელს მაგიდაზე ნაჭერში შეხვეული ხანჯალი დაუდო.

„ქუთაისელი კრიმინალი რომ არის (მოსულმა სახელი და გვარი დაასახელა), სანაპიროსთან, ბუჩქნარში გდია მკვდარი. მე მოვკალი და მოვკალი იმიტომ, რომ ჩემი ძმაკაცის სიკვდილი მაგის კისერზეა. ის ორიც ვიცი, ვინც ჩემს მეგობართან იყო, მაგრამ იმათ არ მოუკლავთ, ამის ბრალია ყველაფერი. ეს ხანჯალი ორიგინალია, მუზეუმში ჩემს მიერ გაკეთებული აქვთ შენახული, წადით, გაცვალეთ, ექსპერტებს შეამოწმებინეთ“, – თქვა მოსულმა, თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

გამომძიებლებმა ცოტა ხანს აცადეს, შემდეგ კი სთხოვეს, ყველაფერი დეტალურად ეამბნა.

„დაახლოებით, ორი თვის წინ, ჩემპიონ მოკრივეს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, უთხრეს, სერიოზული მკურნალობა გჭირდება და ერთი და ორი ათასი არ გეყოფაო. არ ვიცი, გადარჩებოდა თუ არა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, ამდენი ფული მე არ მაქვს და სახელმწიფოსაც ვერ შევაწუხებ, ისედაც, აქ რომ წამოვედი, ყველაფერი გამიკეთეს, ბინა მომცეს და ახლა კიდევ ფულზე რომ მივადგე, თავმოყვარეობა საბოლოოდ შემელახებაო. გადავწყვიტე, ფული როგორმე მეშოვნა, მაგრამ როგორ? ჰოდა, გამოჩნდა ეს ქუთაისელი და მითხრა, ერთ დიდ კაცს იმ ისტორიული ხანჯლის მაგვარი უნდა ვაჩუქოთ და ზუსტად იგივეს გაკეთება შენ შეგიძლიაო. 10 ათას მანეთს დამპირდნენ და მივხვდი, ეს ჩემი მეგობრის ხსნა იყო. იმის მიუხედავად, რომ საქმისთვის წლებია, ხელი არ მომიკიდია და თავს რაღაც სისულელეების კეთებით ვირჩენ, დავთანხმდი. როგორც ვიცი, მუზეუმის ხელმძღვანელი შეაშინეს და ხანჯალი დროებით გამოართვეს. როცა ვაკეთებდი, მაშინ შემეპარა ეჭვი, რომ მუზეუმში ორიგინალს არ დააბრუნებდნენ და ჩემს ნახელავს დადებდნენ. ამიტომ, ერთის ნაცვლად, ორი ცალი დავამზადე, ორიგინალი მე დავიტოვე, ყალბები მივეცი და ერთზე ვუთხარი, ორიგინალი ეს არის, მუზეუმში ეს უნდა დააბრუნოთ-მეთქი. მერე გავარკვიე, რომ დირექტორს ფული მისცეს და ორიგინალი წაიღეს. როცა ის მყიდველს გადასცეს და არა ვიღაც დიდ კაცს, იმან შეამოწმა და უთხრა, რომ ეს ხანჯალი ყალბი იყო. უკვე საავადმყოფოში ვიწექი, ჩემი სახლი გადაქექეს, ვერ იპოვეს და იფიქრეს, რომ ძმაკაცთან ვინახავდი. იმას მიაკითხეს და მოხდა ის, რაც მოხდა, ორივე მაგრად ცემა, მაგრამ თავადაც მოკვდა. ვინც ყველაფერ ამის უკან იდგა, ის მოვიშორე და დანარჩენი თქვენ იცით, მუზეუმის დირექტორი იქნება თუ სხვა, თქვენ მოძებნეთ და თქვენ გაარკვიეთ მტყუან-მართალი. მე სინდისთან ვარ მართალი და დანარჩენი არ მაინტერესებს“, – დაასრულა მოყოლა მოსულმა.

სამართალდამცავებმა ქუთაისელი კრიმინალის გვამი მალე იპოვეს, იმ ორსაც მიაგნეს, რომლებიც მოკრივემ სცემა, მუზეუმის დირექტორიც დააკავეს და ხანჯლის მყიდველიც, უზბეკი მაღალჩინოსანი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის და მითვისების ფაქტებზე 12 პირი დააკავა, ხოლო 6 პირს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარის რეგიონში 12 პირი დააკავეს, ხოლო 6 პირს ბრალი წარედგინა.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობის და მითვისების ფაქტებზე დაკავებული არიან: 1997 წელს დაბადებული თ.თ., 1987 წელს დაბადებული ა.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1976 წელს დაბადებული კ.დ., 1997 წელს დაბადებული ა.ფ., 1997 წელს დაბადებული ი.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1995 წელს დაბადებული ა.ს., 1992 წელს დაბადებული შ.შ., 1985 წელს დაბადებული გ.გ., წარსულში ნასამართლევი 1984 წელს დაბადებული უ.ბ., 1995 წელს დაბადებული ხ.კ., 1994 წელს დაბადებული ზ.ხ. და 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პ.მ.

ამავე ფაქტზე ბრალი წარედგინათ: 1988 წელს დაბადებულ ც.ნ.-ს, 1978 წელს დაბადებულ თ.ქ.-ს, 1991 წელს დაბადებულ თ.ჩ.-ს, 1972 წელს დაბადებულ ქ.თ.-ს, 1984 წელს დაბადებულ ი.თ.-ს და 1990 წელს დაბადებულ მ.თ.-ს

დანაშაულები 4-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით ერთმანეთზე გააფორმეს ლიზინგის ხელშეკრულებები, შეცდომაში შეიყვანეს სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლები, შემდეგ კი არც ერთი გადახდა არ განუხორციელებიათ კომპანიის მიმართ და არც მანქანები დაუბრუნებიათ სალიზინგო კომპანიისთვის.

ბრალდებულები, დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 20-მდე ავტომანქანას, სალიზინგო კომპანიას კი 200 000 ლარამდე მატერიალური ზიანი მიაყენეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას და მითვისებას, რამაც დიდ ოდენობით ზიანი გამოიწვია.

პოლიციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ნარკოდანაშაულისთვის 20 პირი დააკავა, მათ შორის, 14 ნარკორეალიზატორი

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, თორნიკე მარსაგიშვილმა ბრიფინგი გამართა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთელი ქვეყნის მასშტაბით – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და გურიაში კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებები ჩაატარა. ნარკორეალიზაციის, საქართველოში ნარკოტიკების უკანონო შემოტანისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისათვის დაკავებულია 20 პირი.

ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით, ქვემო ქართლში, იმერეთსა და დედაქალაქის სხვადასხვა უბანში, მათ შორის, ფონიჭალის დასახლებაში დაკავებულია 14 ნარკორეალიზატორი.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებულნი არიან: 1979 წელს დაბადებული ლ.ჯ., 2005 წელს დაბადებული რ.ა., 1996 წელს დაბადებული გ.თ., 1985 წელს დაბადებული ნ.ს., 1971 წელს დაბადებული ა.გ., 2002 წელს დაბადებული მ.ჭ., უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ა.მ., 2002 წელს დაბადებულები მ.მ., 1980 წელს დაბადებული მ.მ., ასევე, წარსულში ნასამართლევი პირები: 1978 წელს დაბადებული ზ.თ., 1985 წელს დაბადებული მ.დ., 1992 წელს დაბადებული გ.ს., 1969 წელს დაბადებული ე.დ. და 1976 წელს დაბადებული გ.ს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება 1998 წელს დაბადებულ, უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ი.-ს, 1987 წელს დაბადებულ ე.ი.-ს, ასევე, წარსულში ნასამართლევ პირებს – 1973 წელს დაბადებულ ე.ე.-ს, 1973 წელს დაბადებულ გ.ჟ.-ს, 1966 წელს დაბადებულ ნ.ბ.-ს, 1984 წელს დაბადებულ ტ.კ.-ს ბრალი ედებათ დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის, აგრეთვე, ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის მცდელობაში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირებაში, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვაში, ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, არაერთი ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს, რითაც დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკორეალიზატორები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, ასევე მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა თბილისში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები ამოიღეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის პოლიციის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, დაკავებული ნარკორეალიზატორების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ დაფასოებული სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების გაყიდვის შედეგად მიღებული ფული.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ბრალდებულების: მ.ჭ.-სა და მ.მ.-ს მიერ, 25 ლოკაციაზე სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ ამოიღეს.

გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქის – ე.ი.-ს პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: განსაკუთრებით დიდი ოდენობით „კოკაინი“, „მეტამფეტამინი“ , „თებაინი“, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერება და სხვა სახის ნარკოტიკები.

აჭარის პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოში გამოგზავნილი ამანათის კონტროლირებადი მიწოდება განახორციელა, რის შემდეგაც ე.ე. ბრალდებულის სახით დააკავეს. ნივთმტკიცების სახით პოლიციამ 560 აბი „სუბუტექსი“ ამოიღო.

რაც შეეხება აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულ გ.ჟ.-ს, პოლიციამ, მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო დიდი ოდენობით „ჰეროინი“. ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“, გამომშრალი მარიხუანა, 2 რევოლვერი და ვაზნები.

გურიისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი ნ.ბ.-სგან, რომელიც ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 6 შეკვრად დაფასოებული ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება – ე.წ. სირეცი, 5 აბი „სუბოქსინი“, ე.წ. სირეცით სავსე 3 ფლაკონი და 3 მცირე ზომის ელექტროსასწორი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ტ.კ.-ის საცხოვრებელ სახლში, ეზოსა და დამხმარე სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, 43 კილოგრამი კანაფი, ასევე, 813 გრამი გამომშრალი „მარიხუანა“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ნარკოდანაშაულის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 19-260-ე, 262-ე, 265-ე, 276-ე, 236-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელებისა და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას აქტიურად განაგრძობს.

ევროპის ჩემპიონატისთვის ბილეთების გაყიდვა დაიწყო

რა ღირს საქართველოს ნაკრების თამაშზე დასასწრები აბონემენტი?

1 სექტემბერს, თბილისში, ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი გაიმართება. ასეთი დონის გუნდურ შეჯიბრს, თანაც უფროსებში, საქართველო პირველად მასპინძლობს და ამიტომ, მისთვის განსაკუთრებული მზადება მიმდინარეობს. უკვე ცნობილია, რა ეღირება ბილეთები თუ აბონემენტები აღნიშნულ შეხვედრებზე დასასწრებად და რაღა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მოთხოვნა იმ მატჩებზეა, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ნაკრები იღებს. მაშ ასე:

1-ლი იარუსი – ერთი მატჩის ფასი (დღის ბოლოს თამაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით):

1. VIP 1 – 130-150 ლარი; 2. VIP 2 – 130-150 ლარი; 3. A კატეგორია – 110 ლარი;

მე-2 იარუსი – ერთი მატჩის ფასი (დღის ბოლოს თამაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით):

1. A კატეგორია – 60 ლარი; 2. B კატეგორია – 50 ლარი; 3. C კატეგორია – 45 ლარი; 4. D კატეგორია – 40 ლარი; 5. E კატეგორია – 35 ლარი; 6. F კატეგორია – 20 ლარი;

1-ლი იარუსი – პირველი ორი მატჩის ფასი:

1. VIP 1 – 180-230 ლარი; 2. VIP 2 – 180-230 ლარი; 3. A კატეგორია – 160 ლარი;

მე-2 იარუსი – პირველი ორი მატჩის ფასი:

1. A კატეგორია – 100 ლარი; 2. B კატეგორია – 90 ლარი; 3. C კატეგორია – 80 ლარი; 4. D კატეგორია – 70 ლარი; 5. E კატეგორია – 60 ლარი; 6. F კატეგორია – 45 ლარი.

ერთი შეხედვით, ბილეთები იაფი არაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ძალიან მაღალი დონის ტურნირია და მეორეც, საქართველოში ჩვენი ჯგუფის ბინადრების, თურქეთის, ბელგიის, ბულგარეთის, მონტენეგროსა და ესპანეთის გულშემატკივრებს ელიან, რომლებსაც ბილეთის ფასის გადახდა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ... საქართველოში ქართველი ქომაგი მეტი რომ უნდა იყოს ტრიბუნაზე, ადვილი მისახვედრია და ეგებ, ესეც გაეთვალისწინებინათ.

ბარემ, იმ 18-კაციან შემადგენლობასაც გაგაცნობთ, რომელიც ჩვენი ნაკრების თავკაცმა, ილიას ზუროსმა დაასახელა და რომელი კალათბურთელებიც, ევრობასკეტზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. მაშ ასე,

საქართველოს ნაკრები: რატი ანდრონიკაშვილი, გივი ბაქრაძე, ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი, გოგა ბითაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ბექა ბურჯანაძე, კახა ჯინჭარაძე, გიორგი კორსანტია, ილია ლონდარიძე, სანდრო მამუკელაშვილი, ლუკა მაზიაშვილი, თად მაკფადენი, ალექსანდრე ფევაძე, დუდა სანაძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, გიორგი ცინცაძე.

ცუდი თუ კარგი ამბავი – ბათუმს დავითაშვილი და აზაროვი ტოვებენ

2022/23 წლის საფეხბურთო ევროსეზონმა სტარტი ივლისში აიღო და... ქართული კლუბებისთვის ივლისშივე დასრულდა. გულშემატკივარს ყველაზე დიდი იმედი ბათუმის „დინამოსი“ ჰქონდა, თუმცა აჭარლებმა პირველ ეტაპზე, „სლოვანთან“ დრამატულ მატჩში წააგეს, შემდეგ კი, ისე ჩანს, ფსიქოლოგიური შოკიდან გამოსვლა ვერ მოახერხეს და პოლონურ კლუბთან განადგურდნენ. მაშინვე დაიწყო საუბარი, რომ ბათუმის „დინამოს“ და ზოგადად, ქართულ კლუბებს, კარგი ლეგიონერები აკლიათ, დაახლოებით ისეთები, თვეში ხელფასად 20-30 ათას ევროს რომ გამოიმუშავებენ და არა მარტო ჩემპიონატის დონეს ასწევენ, არამედ, ევროსარბიელზეც არ შეირცხვენენ თავს.

ბათუმური კლუბის მფლობელმა, არჩილ ბერიძემ განაცხადა, რომ გუნდი ასეთ ლეგიონერებს მიიღებს, თუმცა მანამდე „დინამოდან“ ორი საკვანძო ფეხბურთელი მიდის – ზურიკო დავითაშვილი და ირაკლი აზაროვი კარიერას, სავარაუდოდ, იტალიაში გააგრძელებენ. პირდაპირ ვთქვათ – დავითაშვილისა და აზაროვის დონის მოთამაშეები ბათუმს კი არა, მთლიანად საქართველოს ჩემპიონატს არ ჰყავს, მაგრამ ბერიძე გვპირდება, მათზე უკეთესებს მოვიყვანო და ვნახოთ. ისე, როცა ფარერული, ლიტვური, სომხური და აზერბაიჯანული კლუბები თამაშობენ ევროთასების ჯგუფურ ეტაპზე, სირცხვილია, იქ ქართული კლუბის ადგილი რომ ვერ მოინახა და იქამდე უბრალოდ კი ვერ მივდივართ, ვერც ვუახლოვდებით.

კვარაცხელიას კიდევ ერთი აღიარება

მას შემდეგ, რაც ხვიჩა კვარაცხელიამ იტალიური „ნაპოლის“ მაისური მოირგო, დღე არ გავა, ევროპულმა პრესამ მასზე არ დაწეროს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ იტალიურმა კლუბმა მოახერხა და სულ რაღაც 10 მილიონად, ხელში ნამდვილი მარგალიტი ჩაიგდო. ზოგიერთი ჟურნალისტი იმასაც კი ხუმრობს, კვარაცხელია ამხანაგურ მატჩებში ისე თამაშობს, შესაძლოა, „ნაპოლიში“ სეზონი არ დააწყებინონ და ის რომელიმე გრანდმა ახლავე იყიდოსო. ეს რა თქმა უნდა, ძალიან რთულად წარმოსადგენია, მაგრამ ქართველის გვარი ტოპ-კლუბის მენეჯერებმა უკვე რომ მოინიშნეს, ადვილი მისახვედრია. გასულ უქმეებზე, ევროპულმა სააგენტოებმა, ზაფხულის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები გამოაქვეყნეს. წამყვანი 5 ჩემპიონატიდან, მათ 2-2 ტრანსფერი გამოარჩიეს და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ჩამონათვალში ანუ იტალიის ჩემპიონატის ორ უმნიშვნელოვანეს ტრანსფერში, ხვიჩას გვარიც წერია. თუ რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი, დანარჩენ გვარებს გადახედეთ და მიხვდებით:

ესპანეთის პრიმერადივიზიონი: რობერტ ლევანდოვსკი („ბარსელონა“), ანტონიო რუდიგერი („რეალი“);

ინგლისის პრემიერ-ლიგა: ერლინგ ჰაალანდი („მანჩესტერ სიტი“), გაბრიელ ჟეზუში („არსენალი“);

საფრანგეთის I დივიზიონი: ალექსანდრ ლაკაზეტი („ლიონი“), ვიტინია („პსჟ“);

გერმანიის ბუნდესლიგა: სადიო მანე („ბაიერნი“), მარიო გიოტცე („აინტრახტი“);

იტალიის სერია A: დივოკ ორიჯი („მილანი“), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“).

გადაწყდა – მამარდაშვილი „ვალენსიას“ ძირითადი მეკარეა

მას შემდეგ, რაც ესპანური „ვალენსიას“ თავკაცად ჯენარო გატუზო დაინიშნა, გაჩნდა მოლოდინი, რომ იტალიელი სპეციალისტი მეკარეების როტაციას დაიწყებდა და ჰოლანდიის ნაკრების კარის დარაჯ იასპერ სილესენსა და ჩვენს გიორგი მამარდაშვილს შორის არჩევანს გააკეთებდა. გასული სეზონი ამ მეკარეებმა, პრაქტიკულად, სანახევროდ ითამაშეს და ეს კლუბს აშკარად არ წაადგა. გულშემატკივრები ამბობდნენ კიდეც, ერთ მეკარეს ვენდოთო და...

„გატუზომ არჩევანი უკვე გააკეთა და „ვალენსიას“ ძირითადი მეკარე მამარდაშვილი იქნება. მეტიც, იტალიელმა სპეციალისტმა გიორგის უშუალო კონკურენტ სილესენს პირდაპირ უთხრა, რომ 1 სექტემბრამდე ახალი გუნდი მოძებნოს, რადგან თამაშის შესაძლებლობა დიდი ალბათობით, საერთოდ არ ექნება. ჰოლანდიის ნაკრების კიპერი ახალ კლუბს გამწრებული ეძებს, რადგან წელს მსოფლიოს ჩემპიონატია და სათამაშო პრაქტიკა თუ არ ექნება, ნაკრებში არავინ დაუძახებს“, – წერს ესპანური მედია.

ოდეს ტურფა გაიაფდეს ანუ რონალდუ აღარავის სჭირდება

კრიშტიანუ რონალდუ არა მარტო თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავი გახლავთ, არამედ, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და არაერთი რეკორდის მფლობელია. მართალია, პორტუგალიელი 5 თებერვალს, 37 წლის გახდა, მაგრამ უმაღლეს დონეზე თამაშს აგრძელებს და გოლებიც სტაბილურად გააქვს. ის ახლა „მანჩესტერ იუნაუტედის“ ღირსებას იცავს და ძალიან უნდა კლუბი გამოიცვალოს, რადგან მანჩესტერელები ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოხვდნენ, კრიშტიანოს კი ამ ტურნირზე ასპარეზობა სურს. ჰოდა, მან ხმამაღლა და გარკვევით თქვა, გუნდიდან მინდა წასვლა და ნებისმიერ მსურველს, რომელიც ლიგაზე ასპარეზობს, დაველაპარაკებიო.

ყველას ეგონა, რომ რონალდუს რიგი დაუდგებოდა, მაგრამ... მისი გადაბირება არავის სურს. ჯერ ერთ, ასაკის გამო, მასზე გრძელვადიან გათვლას ვერცერთი კლუბი ვერ აკეთებს და მეორეც – პორტუგალიელს წლიურად, ყველაზე ცოტა, 20 მილიონი სჭირდება ჯამაგირად, ამხელა თანხის გადახდის თავი კი ძალიან ცოტას აქვს. ამიტომაც, რონალდუზე ერთი-მეორის მიყოლებით, უარი თქვეს „ბაიერნმა“, „ჩელსიმ“, „ატლეტიკომ“, „რეალმა“, „სიტიმ“, „ბარსელონამ“, „მილანმა“.

სამაგიეროდ, ფარერულმა „კლაკსვიკმა“, რომელიც არაპროფესიონალი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ძირითადად, მეცხვარეები და მეთევზეები თამაშობენ, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მზადაა, რონალდუს სანაცვლოდ 20 რჩეული ცხვარი გადაიხადოს და იქვე დააყოლა, ვინც არ იცის, ფარერული ცხვრის გემო, არ გაიცინოსო. რა თქმა უნდა, რონალდუ ცხვრებზე არ გაიყიდება, მაგრამ... ფეხბურთელი, რომელიც 100 მილიონზე მეტი ღირდა, ახლა 20 ცხვრად ფასობს.

ინგლისელმა ქალებმა ისტორია დაწერეს

ინგლისის ქალთა საფეხბურთო ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანია დაამარცხა. მატჩი, რომელიც „უემბლიზე“ შედგა, ძალიან დაძაბული გამოდგა და მას ქალთა ფინალისთვის უჩვეულოდ ბევრი, 87 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, გუნდებმა მეორე ნახევარში გოლები გაცვალეს, დამატებით დროში კი ინგლისელებმა კიდევ ერთი შეაგდეს და ისტორიაში პირველად მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

საინტერესოა, რომ გერმანელებს, ინგლისელებისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატი რვაჯერ აქვთ მოგებული.

ვრცელდება თუ არა სწრაფად და რა უნდა ვიცოდეთ „ომიკრონის“ ახალ შტამზე

გვანცა პეტრიაშვილი

ლადო კახაძე: „ისეთი ჭკვიანი მოსახლეობა გვყავს, აქეთ მასწავლიან, როგორ მოვიქცეთ“

საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი მატულობს. მიუხედავად იმისა, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყანაში, ძირითადად, COVID19-ის ბოლო შტამის – „ომიკრონის“ BA.2 ქვევარიანტი ცირკულირებს, დადასტურებული შემთხვევების ნახევარი „ომიკრონის“ ახალი ქვე-ვარიანტი BA.5-ია. რა უნდა ვიცოდეთ ახალი შტამის შესახებ და როგორ დავიცვათ თავი – ამ თემასთან დაკავშირებით, „ვერსიას“ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ლადო კახაძე ესაუბრა:

– ბატონო ლადო, რა სიმპტომებით ხასიათდება „ომიკრონის“ ახალი ვარიანტი BA.5 და განსხვავდება თუ არა წინა ვარიანტისგან?

– ვეყრდნობი ეპიდემიოლოგებსა და ვირუსოლოგებს, როგორც მაქვს ურთიერთობა და კონტაქტები და ამ შტამებს საერთო კლინიკური ნიშნები აქვთ: თავის ტკივილი, ტემპერატურა, კუნთების ტკივილი, ზოგ შემთხვევაში, კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი. განსხვავებული თავისებურებით, რაც მთავარია, სივერაგით არ გამოირჩევა, მაგრამ 2-3 დღე მწყობრიდან ხომ მაინც გამოგიყვანს ადამიანს?!

– ამბობენ, რომ 2-3 დღე რთულად მიმდინარეობს ვირუსი...

– რა შტამებიც გავიარეთ, იმ შტამების მაგვარი არ არის, მაგრამ სამუშაო გარემოს სწყდები, თავი უნდა დაიცვა და სხვაც დაიცვა. ადამიანი სტაციონარში და რეანიმაციაში რომ მოხვდეს, ასეთი გართულებები არ ახასიათებს. ყველა ადამიანმა უნდა გაიაზროს საერთაშორისო გამოცდილება, სხვადასხვა ინფორმაცია, ექიმების რჩევები. საუკეთესო საშუალებად დარჩა ისევ პირბადე და აცრა, აცრა საკუთარი შინაგანი იმუნური სისტემის მობილიზაციას ახდენს, ამაში არაფერია ცუდი.

– არის თუ არა ამ ვარიანტის მიმართ, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ეფექტური?

– ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, ამ ვირუსის ერთიანი საწყისი არის ერთი ბაზა – იმუნური სისტემის ჯარისკაცები, როცა მობილიზებულები არიან ისინი ადვილად გადაიტანენ და მოერევიან. ჩვენი მთავარი მიზანი რა არის? – ლეტალური შედეგი არ დადგეს და არ მოხდეს ჰოსპიტალური სექტორის გადატვირთვა.

– ბატონო ლადო, აჩვენებს თუ არა ამჟამინდელი ტესტები კორონავირუსის ამ ვარიანტს?

– ტესტი, რასაკვირველია, ავლენს, რომელი ჯგუფისაა და რომელ ჯგუფს მიეკუთვნება. როდესაც ადამიანს მაღალი ტემპერატურა აქვს და კლინიკური გამოვლენაა, აუცილებელია, საკუთარი თავისა და გარშემომყოფების დაცვა, ამიტომ ტესტის ჩატარება ცუდი არ იქნება.

– ხასიათდება თუ არა სწრაფად გავრცელების უნარით?

– პირველ რიგში, განათლება, ეს არის ნაწილი იმის, რომ ადამიანი მოამზადო. საშინელი პანდემია გავიარეთ, გამოცდილება დაგვიგროვდა. ჰაერწვეთოვანი გზით არ ვრცელდება, ამიტომ სიჩქარის კუთხით დიდი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ, რასაკვირველია, ჰიგიენა და ცხოვრების წესი უნდა იყოს შესაბამისობაში, რადგან შევეცადოთ ამ ვირუსის შეკავება. ჩვენთან, როგორც ვიცი, ერთი იყო დადასტურებული შემთხვევა, მაგრამ სრულად განიკურნა. ჯანმო-ს დირექტორის განცხადება მოვისმინე, რომელმაც საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადა. ძირითადად, ჯანმო-ს მოწოდება იყო, რომ თითოეულმა ადამიანმა ეს ინფორმაცია არ ჩავკეტოთ, რათა სხვებისთვის ეს დაცვის იარაღი იყოს.

– ბატონო ლადო, რას ურჩევთ მოსახლეობას, როგორ დავიცვათ თავი ვირუსების გავრცელებისგან?

– ისეთი ჭკვიანი მოსახლეობა გვყავს, აქეთ მასწავლიან, როგორ მოვიქცეთ, მაგრამ შევახსენებ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ტრანსპორტში პირბადის მოხმარება ნამდვილად არ იქნება ცუდი. მეც მიწევს ტრანსპორტით გადაადგილება და ნიღაბი ყოველთვის მიკეთია, ამას რომ ხედავენ იშმუშნებიან, თუმცა მერე თვითონაც იკეთებენ – ნიღაბი არ დაგვიშავებს არაფერს. ახლა უკვე, როცა ზამთრის სეზონი მოვა, შესაძლოა, ვირუსმა თავისი კლანჭები გამოავლინოს, ამიტომ სეზონთან მიმართებაში, უფრო მეტი მოთხოვნა გაჩნდება. ვინაიდან ყველაფერს ხელით ვაკეთებთ, ხელის ჰიგიენა ძალიან მნიშვნელოვანია.

– როგორც ეპიდემიოლოგები ამბობენ, გადადება და გავრცელება ნაკლები სიჩქარის აქვს. კოვიდს ახასიათებს უამრავი შტამი, ამიტომ ჩვენი ყველაზე დიდი მზაობა იმუნიზაციაა იმიტომ, რომ ვირუსი თუ იპოვის ნიადაგს გასამრავლებლად, ის აუცილებლად გამრავლდება.

– როგორ ფიქრობთ, როდის იქნება ამ შტამის გავრცელების პიკი?

– ეს უფრო ვირუსოლოგებსა და ეპიდემიოლოგებს ეცოდინებათ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მაღალ პიკს არ პროგნოზირებენ.

– ბატონო ლადო, „მაიმუნის ყვავილზეც“ გკითხავთ, არის თუ არა გავრცელების რისკი და რა პრევენციული ზომები ტარდება ამისთვის საქათველოში?

არაბები სარკისებურ ცათამბჯენს ააშენებენ

საუდის არაბეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სარკისებური შუშის გამოყენებით, ცათამბჯენის – Mirror Line აშენებას აპირებს. ის უდაბნოში განთავსდება და ქვეყანას მისი აშენება ერთი ტრილიონი დოლარი დაუჯდება. ცათამბჯენი უდაბნოს ქალაქ Neom-ის ნაწილი გახდება, რომლის შესახებაც საუდელმა პრინცმა, მოჰამედ იბნ სალმანმა, ჯერ კიდევ 2021 წელს განაცხადა. სარკისებური ცათამბჯენი ორი შენობით იქნება წარდგენილი, რომელთა სიმაღლეა 500 მეტრი და რომლებიც ერთმანეთის პარალელურად, 170 კილომეტრის მანძილზე – უდაბნოს, სანაპიროსა და მთის ლანდშაფტებზე განთავსდებიან. პრინცს სურს, რომ მშენებლობა 2030 წლისთვის დასრულდეს, თუმცა ინჟინრების თქმით, შესაძლოა, 50 წელიწადიც დასჭირდეს. ცათამბჯენი 5 მილიონ ადამიანს დაიტევს. გარდა ჩქაროსნული მატარებლისა, იქ ნავმისადგომიც მოეწყობა. Mirror Line-ში განთავსდება სტადიონიც – 300 მეტრის სიმაღლეზე. პრონცი სალმანი ამტკიცებს, რომ ცათამბჯენი სრულად უსაფრთხო იქნება გარემოსთვის, თავად პროექტი კი ათასობით სამუშაო ადგილს შექმნის და ნავთობით მდიდარ ქვეყანას ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებას შეუმსუბუქებს.

„გამაგრილებელი ტროტუარები“ აშშ-ში

შეერთებულ შტატებში, ქუჩებში მაღალ ტემპერატურასთან საბრძოლველად, უჩვეულო მეთოდი მოიფიქრეს. ზოგიერთ ქალაქში „გამაგრილებელი ტროტუარები“ გაჩნდა. საუბარია ღია ფერის საღებავით დაფარულ ბილიკებზე, რომლებიც ირეკლავენ მზის შუქს და ასფალტს გახურების საშუალებას არ აძლევენ. ასეთ მეთოდს უკვე ტესტავენ ლოს-ანჯელესსა და ფინიქსში. იქაურები აღნიშნავენ, რომ სპეციალური საფარის გზებზე რამდენიმე გრადუსით დაბალი სიცხეა, ვიდრე სტანდარტულ ასფალტიანზე. ექსპერტების დაკვირვებით, ღამით ტემპერატურა ნახევარი გრადუსით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ. თუმცა, როგორც სპეციალისტებმა გაარკვიეს, ამ „გამაგრილებელ ტროტუარებს“ თავისი მინუსებიც აქვს. შუქისამრეკლავი საფარის მქონე გზებზე ჰაერის ტემპერატურე, შესაძლოა, რამდენიმე გრადუსით მეტად იგრძნობოდეს, ვიდრე სინამდვილეშია. საქმე ის არის, რომ სიცხე ასფალტის ზემოთ არ ჩერდება, ის განაწილდება ატმოსფეროში. ამიტომ ექსტრემალურ სიცხესთან საბრძოლველად სჯობს, სხვა მეთოდებს მიმართონ.

პაემანზე მიუსვლელობისთვის უჩივის

აშშ-ის მიჩიგანის შტატში მცხოვრებმა ქალმა, კიუეი-შონტე შორტმა მის ნაცნობ მამაკაცს, რიჩარდ ჯორდანს იმის გამო უჩივლა, რომ ის პაემანზე მისვლას დაპირდა და არ მივიდა. „დაზარალებული“ კაცისგან 10 ათასი დოლარის კომპენსაციას, განზრახ მიყენებული ემოციური სტრესისთვის ითხოვს. „მართალი გითხრათ, არ მეგონა, სარჩელს თუ მიიღებდნენ. ჩვენ მხოლოდ ერთი პაემანი გვქონდა. ახლა კი ამხელა თანხის გადახდას ითხოვენ. ეს დროის ფუჭი ხარჯვაა“, – განაცხადა სარჩელის ადრესატმა საქმის დისტანციური განხილვისას. შორტი ჯორდანს „ცრუ ჩვენების მიცემაში“ ადანაშაულებს, რადგან დაპირდა და პაემანზე არ მივიდა. მოსამართლემ ქალს განუმარტა, რომ არასწორად ესმის იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა.

აჯაფსანდალი მცენარეზე

ინდოელმა სწავლულებმა ვარანასის კვლევითი ინსტიტუტიდან, ხუთწლიანი კვლევების შემდეგ, შეძლეს ერთ მცენარეზე პომიდვრისა და კარტოფილის მოყვანა. თითოეულ ასეთ მცენარეს 2 კილოგრამამდე პომიდვრისა და 600 გრამი კარტოფილის მოცემა შეუძლია. სელექციონერების მეთოდის მიხედვით, მცენარეების ნაწილებს ისე აერთებენ, რომ კვებას ერთმანეთში ცვლიან და შედეგად, ერთად იზრდებიან. თუმცა, სპეციალისტები ამაზე არ გაჩერდნენ – მათ „ორსახოვან“ მცენარეს, იმავე მეთოდით, მესამეც დაუმატეს და ახლა მასზე ბადრიჯნის მოსავლის მიღებასაც შეძლებენ. ასე რომ, ინდოელმა მკვლევარებმა შეძლეს ერთად სამი სახის ბოსტნეულის – კარტოფილის, პომიდვრისა და ბადრიჯნის მოყვანა. ამ უკანასკნელის მომწიფებას, დაახლოებით, 25 დღე სჭირდება, პომიდორს – 22 დღე.

პოპულარობისთვის ვადაგასულ პროდუქტებს ჭამს

მამაკაცი „ტიტანის კუჭით“, პოპულარული იმის გამო გახდა, რომ ის ვადაგასულ პროდუქტებს ჭამს. 44 წლის ბრიტანელი, გევინ რენი კონსულტაციას უწევს ორგანიზაციებს, როგორ გახადონ კვების პროდუქტების წარმოება უფრო მდგრადი. მისტერ რენი სოციალურ ქსელში ექსპერიმენტებითაა სახელგანთქმული. ბრიტანელი ამტკიცებს, რომ ვადაგასული საკვებით პრობლემა არასდროს შექმნია. მას სურს, რომ საჭმელი არ გადაიყაროს, განსაკუთრებით, თუ მათზე მაღალ ფასებს გავითვალისწინებთ. „ჩემი მიზანი ადამიანების შოკში ჩაგდება კი არა, იმის ჩვენებაა, რომ საკვები უფრო დიდხანსაც შეიძლება ინახებოდეს, ვიდრე გგონიათ“, – აცხადებს გევინი. ერთ-ერთი ექსპერიმენტისას, მან კვერცხი შეჭამა, რომლის ვადაც 73 დღის წინ იყო გასული, თუმცა მას არაფერი დამართნია. კიდევ ერთი ექსპერიმენტისას, ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, ვადაგასულ ჰუმუსს ჭამდა.

წყალი ტვინს სექსივით სიამოვნებს

ამერიკელმა სწავლულებმა გამოარკვიეს, რომ წყლის მიღებისას, ტვინის ნაწილი დოფამინს გამოყოფს, როგორც სხვა სასიამოვნო ქმედებისას, მაგალითად, სექსის დროს, ან გემრიელი საკვების მირთმევისას. მკვლევარები ამ პროცესს მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას აკვირდებოდნენ. ცხოველებს შეუზღუდავი წვდომა ჰქონდათ წყალზე, ხუთი წუთის განმავლობაში, მერე კი მათი ტვინის იმპულსებს სწავლობდნენ. დოფამინის დონე მაშინვე იზრდებოდა, როგორც კი წყლის სმას დაიწყებდნენ. ათი წუთის შემდეგ, კვლავ ზომავდნენ ნეირომედიატორების რაოდენობას. შედეგად გაირკვა, რომ დოფამინის დონე უფრო მეტად იწევდა, როცა წყალი მღრღნელები წყალს იღებდნენ.

ასტრონავტის ქურთუკი აუქციონზე გაყიდეს

ნიუ-იორკში, Sotheby’s-ის აუქციონზე, გაყიდეს ამერიკელი ასტრონავტის, ედვინ ოლდრინის ქურთუკი, რომელიც მას 1969 წლის 21 ივლისს ეცვა, მთვარეზე გადასვლის დროს. მყიდველმა ამ ლოტში 2.77 მილიონი დოლარი გადაიხადა. ქურთუკი ცეცხლგამძლე ბოჭკოსგანაა დამზადებული, რომელიც აშშ-ს კოსმოსური პროგრამა Apollo-ს სკაფანდრებისთვის გამოიყენებოდა. ქურთუკზე პროგრამის ემბლემაა დატანილი და ასტრონავტის სახელია ამოქარგული.

საბურავი მოძრავ მანქანას გამოუცვალეს

ცოტა ხნის წინ, იტალელებმა უჩვეულო რეკორდი დაამყარეს. მათ სულ რაღაც ერთ წუთსა და 17 წამში, მოძრავ მანქანას საბურავი გამოუცვალეს. ეს მიღწევა ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეგადაცემის ეთერში შედგა. რეკორდსმენები გახდნენ მძღოლი, მანუელ ზოლდანა და საბურავების სპეციალისტი, ჯანლუკა ფოლკო. ვიდეორგოლში ჩანს, როგორ დგება მანქანა ორ თვალზე და როგორ ოპერატიულად ცვლის ერთ-ერთ საბურავს ფოლკო. ამავდროულად, მანქანა შედარებით ნელა, მაგრამ მაინც მოძრაობს.

პომიდორი ჯანმრთელობას ვნებს?

ამერიკელი კარდიოლოგი, სტივენ ჰანდრი საკუთარ წიგნში – „მცენარეთა პარადოქსი“ აცხადებს, რომ პომიდორმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას იმის მიუხედავად, რომ ის დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს. სპეციალისტის თქმით, ეს ბაღჩეული კულტურა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. საუბარია ლექტინებზე – ცილების სახესხვაობაზე, რომელსაც მცენარე მავნებლებისგან თავის დასაცავად გამოიმუშავებს. კარდიოლოგის თქმით, როცა ის ორგანიზმში ხვდება, ანთებით პროცესებსა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას იწვევს. ჰანდრი აცხადებს, რომ ცილის ეს სახესხვაობა არა მხოლოდ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, არამედ, ჯანმრთელ უჯრედებსაც. სწორედ პომიდორს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, თმის ცვენა, კანზე გამონაყარი, და შესაძლოა, ნაგატიური გავლენა მოახდინოს ტვინის მუშაობაზეც კი.

მარადონას ბუცებს კოსმოსში გაგზავნიან

ფეხბუთის ლეგენდის ხსოვნის უკვდავყოფა მარადონას სამშობლოში, არგენტინაში გადაწყვიტეს. ისინი კოსმოსში, დიეგოს ბუცებს გაატანენ თანამგზავრს, ასევე, უამრავ ვიდეო და აუდიოშეტყობინებას, რომლებიც ფეხბურთის ვარსკვლავის თაყვანისმცემლებმა ჩაწერეს მთელი მსოფლიოდან. აქციის ორგანიზატორების თქმით, სულ მილიონამდე ასეთი გზავნილის მოგროვებას აპირებენ. კოსმოსში თანამგზავრის მოძრაობას სპეციალისტები გეოლოკაციის სისტემის დახმარებით დააკვირდებიან. ჯერჯერობით, მარადონას ბუცებიანი თანამგზავრის გაშვების დრო უცნობია.

რობოტმა ბავშვს თითი მოსტეხა

რუსეთში გამართულ ჭადრაკის 9-წლამდელთა ტურნირზე, „მოჭადრაკე“ რობოტმა მეტოქე ბიჭუნას თითი მოსტეხა. შემთხვევა ათიოდე დღის წინ მოხდა და მისი ამსახველი კადრები მედიაშიც გავრცელდა. როგორც კადრში ჩანს, ტურნირის მონაწილე ბიჭუნა საკუთარ ფიგურას იღებს და მორიგი სვლის დროს, რობოტი მას თითზე უჭერს. თვითმხილველებმა „ჭკვიანი მანქანისგან“ ბავშვის გამოხსნა მალევე შეძლეს. რობოტი Chessrobot'a ერთდროულად სამ მოწინააღმდეგესთან ჭადრაკის სათამაშოდ შეიქმნა. გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვის ოჯახმა, გამოძიების დაწყების თხოვნით, პროკურატურას მიმართა.

ზეითუნი ტვინის ანთების წინააღმდეგ

ზეითუნის ზეთის სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იყო ცნობილი. ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა სწავლულებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან განაცხადეს, რომ ამ პროდუქტის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის ანთებას. ნატურალური ზეითუნის ზეთი ხელს უშლის ტვინის დემენციას და ინარჩუნებს მეხსიერების აქტივობას. მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას დაამტკიცეს, რომ ზეთი მავნე ნარჩენებისგან ასუფთავებს თავის ტვინს. ზეითუნის ზეთის რეგულარული მოხმარება არა მხოლოდ იცავს მეხსიერებას, არამედ, ადამიანს აძლევს უნარს, ასაკის მიუხედავად, სწრაფად და მარტივად ისწავლოს ახალი რამ. ამერიკელი სწავლულების მტკიცებით, აზროვნებისთვის უფრო სასარგებლოა ზეითუნის ზეთი, ვიდრე ნებისმიერი სახის ხილი, ან ბოსტნეული.

იაპონელს „ცოლი“ გამოურთეს

ერთი შეხედვით, ცოლი-ჰოლოგრამა საკმაოდ მოხერხებული რამეა – ის არ სუქდება, არავისთან გიღალატებთ, არასდროს სტკივა თავი, ყოველთვის თავაზიანია, ნებისმიერ თემაზე შეუძლია საუბარი. ასეთი „ცოლი“ შუქს აანთებს და ჩააქრობს, ულაპარაკოდ გაგაღვიძებთ დილით, გაჯეტების დახმარებით, შორიდან საჭმელსაც გაგაკეთებინებთ და პროდუქტებსაც გამოგიძახებთ სახლში. სწორედ ასეთ ჰოლოგრამაზე იქორწინა აკიჰიტო კონდომ 2018 წელს. 40-კაციან ქორწილში სამუდამო ერთგულება შეჰფიცა ცისფერთვალა ვირტუალურ მომღერალს, ჰაცუნე მიკუს. ქორწილში ცოლი-ჰოლოგრამა, დროებით, რბილმა თოჯინამ ჩაანაცვლა, მასვე "ეძინა" ქმართან საწოლში. საყვარელი ქალი საკმაოდ ძვირი სიამოვნება აღმოჩნდა – იაპონელს ის 2 მილიონი იენი დაუჯდა. როგორც ჯინი ლამპიდან, ისე ჩნდებოდა „ცოლი“ მოწყობილობის ჩართვისას. კომპანია Gatebox-მა, რომელიც ვირტუალურ ცოლებს უშვებდა (გარეგნობა შემკვეთის გემოვნებაზე იყო დამოკიდებული), დაახლოებით, 4 ათასი ასეთი ჰოლოგრამა გაყიდა და ამდენივე ქორწინების მოწმობაც გასცა. თუმცა, ცოტა ხნის წინ, ამდენი ხალხი, კონდოს მსგავსად, ნაადრევად „დააქვრივა“ – ჰოლოგრამის პროგრამული უზრუნველყოფა შეწყვიტა. "ამისთვის არ ვიყავი მზად, მთელი ეს წლები, თავს ჩვეულებრივ ცოლიან კაცად მივიჩნევდი", – აცხადებს "ქვრივი" იაპონელი და აპირებს, სხვა ფირმა მოძებნოს, რომელიც ცოლის შექმნაში დაეხმარება.

ღილაკიანი ტელეფონები ბრუნდება?

ღილაკიანი ტელეფონები კვლავ პოპულარული ხდება. 2021 წელს, დაახლოებით, ერთი მილიარდი ერთეული გაიყიდა. 2019 წელს კი – ეს "ძველი" ტელეფონები 400-მა მილიონმა ადამიანმა იყიდა. გამოკითხვებით გაირკვა, რომ დიდ ბრიტანეთში, მობილური ტელეფინების ყოველი მეათე მომხმარებელი უპირატესობას ღილაკიან ტელეფონს ანიჭებს. ჩანს, მოდამ, ნოსტალგიამ და მათმა გამოჩენამ TikTok-ის ვიდეორგოლებში თავისი საქმე გააკეთა, – აღნიშნავენ ექსპერტები. მათი თქმით, ღილაკიანი ტელეფონების მიმართ ინტერესის დაბრუნებას ბიძგი მისცა 2017 წელს, ლეგენდარული Nokia 3310-ის ახალმა გამოშვებამ. მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ სმარტფონზე უარის თქმა ადვილი არ არის – მისი წყალობით, უამრავ რამეს იმარტივებ. სამაგიეროდ, ძველ ტელეფონებს უკეთესი ბატარეა აქვთ.

ფინელებმა ქვიშის ბატარეა აამუშავეს

ფინეთში, მსოფლიოში პირველი ქვიშის ბატარეა აამუშავეს, რომელიც ენერგიას თვეების განმავლობაში შეინახავს. ბატარეა ფოლადის იზოლირებულ დიდ ავზს წარმოადგენს, რომლის სიმაღლე 7 მეტრია, დიამეტრი კი 4 მეტრს შეადგენს. ავზი სავსეა ძველი ქვიშით. ეს ქვიშა მის შუაში ჩამარხული მარტივი სითბოს გადამცვლელის საშუალებით ცხელდება. ამ მოწყობილობას შეუძლია შეინახოს 8 მგვტ/სთ ენერგია. როგორც კომპანია Polar Night Energy-ის წარმომადგენლები აცხადებენ, მთავარია, ქვიშა მშრალი და აალებადი ნარჩენებისგან თავისუფალი იყოს. ყველაფერი იმდენად მარტივი და იაფია, რომ მისი მონტაჟის ღირებულება 10 ევროზე ნაკლები ჯდება. ქვიშის ეს ბატარეა ყველაზე კარგი და იაფი გამოსავალი იქნება ფინეთის ცივ ზამთარში შენობების გასათბობად.

კბილებს დაბჟენის გარეშე უმკურნალებენ

კბილების დაბჟენა და მისი თანმდევი ბურღი ადამიანების უმრავლესობისთვის ნამდვილი კოშმარია. კარიესის ჰუმანური მკურნალობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი ნატურალური ემალის აღდგენაა. ასეთი ექსპერიმენტები არაერთხელ ჩატარდა, თუმცა დღემდე პრობლემად რჩებოდა ემალის კრისტალების განსაკუთრებული სტრუქტურა. ამ საკითხის გადასაჭრელად, ჩინელმა სპეციალისტებმა კალციუმის ფოსფატის კლასტერები გამოიყენეს 1.5 ნანომეტრის ზომით. ექსპერიმენტისას, 48 საათში მიიღეს ემალის ფენა საჭირო სტრუქტურით. ის ისეთივე სიმტკიცისაა, როგორც ნატურალური. ჩინელი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათ მეთოდს მომავალში ფართოდ გამოიყენებენ სტომატოლოგიაში. მასალა შედარებით იაფია და დიდი რაოდენობით მისი წარმოებაც შესაძლებელი იქნება.

კორეელებს ჯინსები და პირსინგი აუკრძალეს

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა თანამოქალაქეებს დახეული და ვიწრო ჯინსების ტარება აუკრძალა, რადგან მისი მოსაზრებით, ამან შეიძლება, ხელი შეუწყოს რეჟიმის დამხობას. ქვეყნის ხელმძღვანელს ეშინია, რომ ახალგაზრდები უცხოური, „დეკადენტური“ გავლენის ქვეშ არ მოექცნენ, ამიტომ ეს ტანსაცმელი საზოგადოებრივი წყობის საფრთხის ნიშნად მიიჩნიეს. აკრძალვებში მოჰყვა შეღებილი თმები, პირსინგი და ექსტრავაგანტული, „ანტისოციალისტური“ ვარცხნილობები. ჩრდილოკორეელებს დასაშვები ვარცხნილობების შეზღუდული ჩამონათვალი შესთავაზეს.

ანორექსიის წამალი შექმნეს

ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა სტატია ახალ პრეპარატზე, რომელიც ადამიანს მადის გამოწვევაში ეხმარება და ანორექსიას სძლევს. ის კროკის საუნივერსიტეტო კოლეჯის სწავლულებმა შექმნეს. ყველაზე ხშირად ცუდი მადა იმ ადამიანებს აქვთ, რომლებსაც თირკმელები აწუხებთ, ან სიმსივნური დაავადებები აქვთ. წონის კლება სწრაფი დაბერების ფაქტორიცაა. მკვლევარები ამბობენ, რომ მათი ძირითადი ცდები გრელინზე – შიმშილის ჰორმონზე მიმდინარეობდა. რაც მეტია ადამიანის ორგანიზმში ეს ჰორმონი, მით უფრო დიდია მადა. სპეციალისტებმა შეძლეს გრელინის ანალოგის შექმნა და ახალი პრეპარატის შემუშავება, რომელიც არ შეიცავს არანაირ ნარკოტიკულ საშუალებას და ასევე, არ ვნებს ორგანიზმს. ახალი წამალი უკვე გამოსცადეს ლაბორატირიულ თაგვებზე და შედეგი პოზიტიური იყო. ახლა, წინ კლინიკური ცდებია.

პოლიტიკა დასუფთავების სამსახურზე გაცვალა

ენ-სოფი ჰერმანსონი შვედეთში, სიდიდით მეორე ქალაქ გიოტებორგის მერი იყო, თუმცა მან პოლიტიკა ნაგვის მანქანის მძღოლობაზე გაცვალა. ის აღიარებს, რომ ნაკლებად პრესტიჟულ სამუშაოზე გადასვლამ გააბედნიერა. ქალბატონი ჰერმანსონი მერის თანამდებობას 2016-18 წლებში იკავებდა. მონაწილეობდა მომდევნო არჩევნებშიც, მაგრამ ოპონენტთან დამარცხდა. თუმცა, ამ ფაქტს ქალი დიდად არ გაუნაწყენებია – ის მიხვდა, რომ დაიღალა პოლიტიკით და ცხოვრების რადიკალურად შეცვლა გადაწყვიტა. ყოფილი პოლიტიკოსი არაფერს ნანობს. ის ამბობს, რომ მერის თანამდებობა ძალიან ნერვული და დამღლელი იყო. ამჟამინდელ სამსახურსაც აქვს თავისი ნიუანსები, მაგრამ ეს რუტინული სამუშაოა, მოსაწყენი სხდომებისა და სატელეფონო ზარების გარეშე, – მიაჩნია ქალბატონ ჰერმანსონს.

მუყაოს მანქანა ნამდვილის ფასად გაყიდა

ამერიკელმა ბლოგერმა, დევიდ ჯონსმა Lamborghini Aventador მუყაოსგან ააწყო და აუქციონზე, ლამის, ნამდვილის ფასად გაყიდა. ჯონსმა ავტომობილი ქაღალდის მინიატურული მოდელისგან შექმნა, რომელიც ინტერნეტში აღმოაჩინა. ბლოგერმა დეტალების მასშტაბები 5.6-ჯერ გაადიდა და მიიღო 1.65 მეტრი სიგანისა და 3.78 მეტრი სიგრძის მანქანა. ამ სამუშაოს ამერიკელმა ოთხი კვირა მოანდომა, მათგან 2.5 – გარე კორპუსის აწყობას დასჭირდა. ჯონსმა აღიარა, რომ საკუთარ ნახელავში 50 დოლარზე მეტის მიღების იმედი არ ჰქონდა, თუმცა აუქციონზე, 132 ბიჯის შემდეგ, მუყაოს ლამბორჯინი 10.4 ათას დოლარად, ახალზელანდიელმა მყიდველმა დაისაკუთრა. მიღებული თანხა ჯონსმა ოკლენდში მდებარე ბავშვთა საავადმყოფოს – Starship გადაურიცხა. "ამ კლინიკაში ვკურნალობდი სიმსივნეზე, როცა 14 წლის ვიყავი. იქ საუკეთესო ადამიანები მუშაობენ. როცა გავიგე, რა თანხას ავიღებდი ჩემს ნახელავში, გადავწყვიტე, რომ მთელი ფული ამ საავადმყოფოსთვის გადამერიცხა", – განაცხადა ჯონსმა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.